პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 20 თებერვალი, 1946 წ. № 38 (7511). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ლითონი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების საფუძველია — „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი (1-ლი გვერდი).
გ. ნატროშვილი — ქართული ბატალიონის აჯანყება (მე-2 გვერდი).
გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება თესვის სანიმუშოდ მომზადებისათვის (მე-2 გვერდი).
საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის აღსანიშნავად (მე-2 გვერდი).
ამხ. ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა უშიშროების საბჭოს სხდომაზე (მე-3 გვერდი).
მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში — სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. რ. ა. რუდენკოს შესავალი სიტყვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ლითონი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების საფუძველია

სახალხო მეურნეობის ძირითადი ძალა — ასე დაახასიათა მეტალურგიის განსაკუთრებული როლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული ძლიერების შემოქმედმა, ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა.

მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებშიც, ომიანობის წლებშიც ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობა ეყრდნობოდა ბოლშევიკური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ღონისძიებებით სტალინური ხუთწლედების პერიოდში შექმნილ მძლავრ შავ მეტალურგიას. ლითონი — აი რა იყო მთელი ჩვენი მრეწველობის ზრდის საფუძველი, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების ბაზა. ლითონი — აი რა უზრუნველჰყოფდა სამხედრო ინდუსტრიის აღმავლობას, წითელი არმიისათვის საბრძოლო ტექნიკის წარმოების ზრდას.

ამომრჩეველთა წინაშე 9 თებერვალს წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ სამამულო ომში გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო იყო საკმაო რაოდენობით გვქონოდა სავსებით თანამედროვე საჭურველი. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო გვქონოდა, ამასთან საკმაო რაოდენობით, ისეთი ელემენტარული საგნები, როგორიცაა ლითონი, სათბობი, ბამბა, პური. ლითონი საჭირო იყო „შეიარაღების, საჭურვლის, საწარმოებისათვის მოწყობილობის დასამზადებლად“. ომის წინ, 1940 წელს, ჩვენს ქვეყანაში დამზადდა 15 მილიონი ტონა თუჯი — თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის წინ, 1913 წელს, და 18.300 ათასი ტონა ფოლადი — ოთხნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.

ლითონით ვაშენებდით, ლითონით ვომობდით!

გადამწყვეტი როლი ეკუთვნის შავ მეტალურგიას მთელი სოციალისტური ეკონომიკის ომისშემდგომ ზრდაშიც. ამხანაგ სტალინის მიერ 9 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში დასახულ ჩვენი ქვეყნის განვითარების დიად პროგრამაში პირველხარისხოვანი ადგილი აქვს დათმობილი შავ მეტალურგიას. „ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ტონა ფოლადი...“ „ამას, ალბათ, სამი ახალი ხუთწლედი დასჭირდება, თუ მეტი არა. მაგრამ ამ საქმის გაკეთება შეიძლება და ჩვენ იგი უნდა გავაკეთოთ“.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ უთმობდნენ მეტალურგიას დაუცხრომელ ყურადღებას. ომიანობის დროს ძნელ პირობებშიც კი ჩვენი ქვეყანა აღწევდა ლითონის წარმოების გადიდებას. ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში სწრაფი ტემპით შენდებოდა ახალი და ფართოვდებოდა ძველი ქარხნები. ჩვენი მიწა-წყლიდან გერმანელების განდევნის შემდეგ აღორძინების გზას დაადგა სამხრეთის მეტალურგია. ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში ლითონის გამოდნობა მარტო ომიანობის წლების განმავლობაში 50 პროცენტით გადიდდა. გასულ 1945 წელს თუჯის გამოდნობა 1944 წელთან შედარებით 21 პროცენტით გადიდდა, ფოლადის გამოდნობა — 15,3 პროცენტით, ნაგლინის გამოშვება — 18 პროცენტით, კოქსის გამოწვა — 19 პროცენტით, რკინის მადნის მოპოვება — თითქმის 38 პროცენტით. და მარგანეცის მადნისა — 45 პროცენტით. ზრდის ასეთი ტემპი მოწმობს დიდ შინაგან ძალებს სოციალისტური ეკონომიკისას, რომელმაც ომის უაღრესად მძიმე განსაცდელს გაუძლო.

მაგრამ არასწორი და მავნე იქნებოდა სათანადოდ რომ არ შეგვეფასებინა მეტალურგიის აღმავლობის სიძნელენი. არ შეიძლება დავივიწყოთ ის ღრმა ჭრილობები, რომლებიც შავ მეტალურგიას გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მიაყენეს. პათ მწყობრიდან გამოიყვანეს 37 მეტალურგიული ქარხანა, მოსპეს და ნაწილობრივ დაანგრიეს 62 ბრძმედი, 213 მარტენის ღუმელი, 248 საგლინავი ჩარხი. ჩვენი მშენებლებისა და მეტალურგების გმირული ღონისძიებებით მოკლე ხანში უკვე აღდგენილ იქნა და ამოქმედდა 22 ბრძმედი, 59 მარტენის ღუმელი, 39 საგლინავი ჩარხი. მაგრამ ძირითადი მუშაობა ჯერ კიდევ წინ არის. დანგრეული საწარმოების უსწრაფეს აღდგენაზე უმთავრესად დამოკიდებული იქნება ლითონის წარმოების ზრდა 1946 წელს. მაშასადამე, ამ მხრივ უნდა წარვმართოთ კიდევ უფრო მეტი ყურადღება, კიდევ უფრო მეტი ღონისძიებანი!

ამავე დროს აღდგენითი სამუშაოები შავი მეტალურგიის მეტალურგიულ საწარმოებში თანაბარი წარმატებით როდი ჩაღდება. მაგალითად, დონბასში მაკეევკის, ენაკიევოს, ალჩევისა და მარიუპოლის მეტალურგიულ ქარხნებს 1945 წლის გეგმა არ შეუსრულებიათ იმის გამო, რომ ასამუშავებლად დასახული ბრძმედები და სხვა აგრეგატები ან არ აღადგინეს, ანდა მთავრობის მიერ დადგენილ ვადებთან შედარებით დაგვიანებით აამოქმედეს. აღდგენითი სამუშაოების გრაფიკთა ზუსტი შესრულება კანონი უნდა გახდეს ყველა მშენებელი ორგანიზაციისათვის!

წელს ლითონის წარმოების ზრდის მეორე წყაროა შავი მეტალურგიის ახალ საწარმოთა შემდგომი მშენებლობა და მოქმედ საწარმოთა გაფართოება. 1946 წელს აგებულ უნდა იქნას სამი მარტენის ღუმელი მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატში, მარტენის ღუმელი და საგლინავი ჩარხი უზბეკეთის მეტალურგიულ ქარხანაში, მარტენის საამქრო ჩელიაბინსკის მეტალურგიულ ქარხანაში, ბლიუმინგი და ბესემერის საამქრო ნოვი ტაგილის მეტალურგიულ ქარხანაში, მარტენის საამქროს პირველი რიგი ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში და სხვა. ახალი ქარხნების, საამქროების მშენებლობა და სამხრეთის მეტალურგიის აღდგენა მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის ამას წინათ შექმნილი სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სწრაფი მშენებლობის დარგში ომიანობის დროის უდიდესი გამოცდილება ახლა სავსებით უნდა გამოვიყენოთ ყველა მშენებლობაზე და აღსადგენ საწარმოში.

დასასრულ, ლითონის წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს შავი მეტალურგიის არსებულ სიმძლავრეთა საუკეთესოდ გამოყენება. აქ მეტალურგებს დაუცხრომელი დახმარება დასჭირდებათ სახალხო მეურნეობის იმ დარგების მხრივ, რომლებიც მას მომსახურებას უწევენ, და, უწინარეს ყოვლისა, რკინიგზის ტრანსპორტისა და ენერგეტიკის მხრივ. ამ ზამთარში მეტალურგები სერიოზულ სიძნელეებს განიცდიდნენ იმის გამო, რომ შარშან ზაფხულში და შემოდგომაზე შექმნილი არ იყო სათბობისა და მეტალურგიული ნედლეულის საკმაო მარაგი. ამჟამად ზოგიერთი რკინიგზა ვერ ასრულებს შავი მეტალურგიის საწარმოებისათვის ნედლეულის გადაზიდვის დავალებებს. გარდა ამისა, ელექტროსადგურთა სახალხო კომისარიატის მთელი რიგი ენერგოსისტემები („კემეროვენერგო“, „ურალენერგო“, „დონბასენერგო“) ვერ უზრუნველჰყოფენ შავ მეტალურგიას ელექტროენერგიის საჭირო რაოდენობით. შავი მეტალურგიის საწარმოთა პირველ რიგში დაკმაყოფილება მუდმივი და სავალდებულო წესი უნდა გახდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის!

მეტალურგიული საწარმოებისათვის დახმარების გაძლიერებას თან უნდა ახლდეს შინარესურსების უფრო ენერგიული მობილიზაცია თვით შავ მეტალურგიაშიც. აქაც ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ფაქტი, რომელიც მოხდა მაგნიტოგორსკის რკინის მადნით კუზნეცკის კომბინატის მომარაგების საქმეში. მაგნიტოგორსკის კომბინატის ხელმძღვანელები სისტემატურად არ ასრულებდნენ კუზნეცკის კომბინატისათვის რკინის მადნის მიწოდების გეგმას, ამავე დროს თვითონ ახდენდნენ ამ მადნის გადახარჯვას. კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის ბრძმედებს შეჩერების საფრთხე ემუქრებოდა. მას შემდეგ, რაც შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა და მაგნიტოგორსკის კომბინატმა საჭირო ზომები მიიღეს, მაგნიტოგორსკის რკინის მადნის გადაგზავნა მნიშვნელოვნად გაძლიერდა და კუზნეცკის კომბინატისათვის მადნის მიწოდების გეგმა უკვე სრულდება. მაშასადამე, წინათაც ყოფილა იმის შესაძლებლობა, რომ კუზნეცკის ბრძმედებისათვის ნორმალურად მიეწოდებინათ მადანი!

ანდა მეორე მაგალითი — სახურავი რკინის წარმოების დარგში. ამ რკინის მოთხოვნილება უაღრესად დიდია. ომის დროს ჩვენი ქარხნები იძულებული იყვნენ მკვეთრად შეემცირებინათ სახურავი რკინის წარმოება. სულ სხვაა ახლა, ომის შემდეგ. მეტალურგები მოვალენი არიან სწრაფად გაადიდონ სამოქალაქო მარკებისა და პროფილების ლითონის გამოშვება სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის. მაგრამ გასული წლის მესამე კვარტალში სახურავი რკინის წარმოების გეგმა ძლივს შესრულდა 75 პროცენტით, ხოლო როცა მეტალურგებს ამ ნაკლზე მიუთითეს და მათ ხელი მოჰკიდეს მის აღმოფხვრას, მეოთხე კვარტალში სახურავი რკინის წარმოება მკვეთრად გადიდდა და სახელმწიფო დავალების დონეს მიაღწია.

შავმა მეტალურგიამ, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მთელმა მრეწველობამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებით გამოწვეული დიდი პოლიტიკური აღფრთოვანების ვითარებაში დაიწყო ახალი, 1946 წელი. ამხანაგ სტალინის ისტორიულმა სიტყვამ მებრძმედეებსა და მეფოლადეებს, მგლინავებსა და მაღაროელებს, მკოქსავებსა და ტრანსპორტის მუშაკებს შორის შეჯიბრების ახალი აღმავლობა გამოიწვია. ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა მეტალურგების სახელოვანი არმიისაგან მოელის ახალ-ახალ შრომით წარმატებას, ლითონის — ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საფუძვლის — წარმოების ახალ აღმავლობას.

„პრავდის“ 18/II მოწინავე

მოსკოვს ჩამოვიდა ირანის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი კავამ-ეს-სალტანე

19 თებერვალს მოსკოვს ჩამოვიდა ირანის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი კავამ-ეს-სალტანე. ბ-ნ კავამ-ეს-სალტანესთან ერთად ჩამოვიდნენ ბ-ნები დ. ამერი, გ. საიახი, ხ. პირნაზარი, რ. ზ. შაფაგი, ხ. დორი, ს. ასადი, ა. გ. ნიკპური და სხვები.

ჩამოსულთ ცენტრალურ აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ვ. გ. დეკანოზოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ვ. პ. მიგუნოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ა. პარფენოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შუა აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ს. ი. სიჩოვი.

ჩამოსულთ აგრეთვე შეხვდნენ მოსკოვში ირანის საელჩოს წევრები მრჩეველ ბ-ნ ა. ეტესამის მეთაურობით, სსრ კავშირში ირანის ელჩის მეუღლე ქ-ნი რ. ახი, ავღანეთის ელჩი ბ-ნი სულტან ახმედ ხანი, ნორვეგიის ელჩი ბ-ნი რ. ანდვორდი, საბერძნეთის ელჩი ბ-ნი ა. პოლიტისი, ნიდერლანდის ელჩი ბარონი კ. ვან ბრუგელ დუგლასი, თურქეთის ელჩი ბ-ნი ს. სარპერი, მექსიკის ელჩი ბ-ნი ნ. ბასოლსი, იუგოსლავიის ელჩი გენერალი ვ. პოპოვიჩი, იტალიის ელჩი ბ-ნი პ. კვარონი, პოლონეთის ელჩი ბ-ნი რააბე, ეთიოპიის დესპანი ბ-ნი ლ. ტაეზასი, შვეციის დესპანი ბ-ნი ს. სედერბლუმი, ლუქსემბურგის დესპანი ბ-ნი რ. ბლუმი, დანიის დესპანი ბ-ნი ტ. დესინგი, ფინეთის დესპანი ბ-ნი კ. სუნდსტრემი, ბულგარეთის დესპანი ბ-ნი დ. მიხალჩევი, დიდი ბრიტანეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი ფ. რობერტსი, ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი დ. კენანი, ბელგიის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი პ. როერში, კანადის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი ლ. მეირანდი, ახალი ზელანდიის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი რ. პეტრიკი, ეგვიპტის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი მ. ელ-კუნი, ისლანდიის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი პ. პორტსტეინსონი, ჩეხოსლოვაკიის საელჩოს მრჩეველი ბ-ნი ი. კაშპარეკი, საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი ბ-ნი დე ნობლე დ'ანგლიური და სხვები.

შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ირანისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო ირანისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ბ-ნ კავამ-ეს-სალტანეს განცხადება

მოსკოვს ჩამოსულმა ირანის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა კავამ-ეს-სალტანემ შემდეგი განცხადება გააკეთა აეროდრომზე მიკროფონის წინ:

„დიდად მოხარული ვარ, რომ ჩვენი მეგობარი ქვეყნის დედაქალაქში ჩამოვედი, როგორც გულწრფელი მეგობარი. მე გულთბილად, მეგობრულად მხვდებოდნენ გზაში და იმედი მაქვს, რომ აქ, მოსკოვში, შევძლებ უაღრესად მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა დავამყარო ჩვენს დიდ მეზობელთან — საბჭოთა კავშირთან“.

ქრონიკა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილებით ამხ. ალექსი რუბენის-ძე თოფურია დაინიშნა საქართველოს სს რესპუბლიკის ტექნიკურ კულტურათა სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ.

* * *

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილებით ამხ. ილია ივანეს-ძე პატიაშვილი დაინიშნა საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ.

* * *

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილებით ამხ. ვახტანგ არსენის-ძე ყურაშვილი დაინიშნა საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ კადრების დარგში.

* * *

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ თავისი დადგენილებით ამხ. ალექსანდრე პავლეს-ძე ცომაია გაათავისუფლა საქართველოს სს რესპუბლიკის ტექნიკურ კულტურათა სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობისაგან.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ლ. მ. ლეონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნას მწერალი ლეონიდე მაქსიმეს-ძე **ლეონოვი ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1946 წლის 18 თებერვალი.

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი.

პირველ საკითხზე — ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების მოვლის ამოცანებზე — მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმისა და ქობულეთის რაიკომების მდივნები ვ. სანიკიძე და ე. ტაკიძე.

— ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, — სთქვა ამხ. ტაკიძემ, — გასულ წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩაისა და ციტრუსების, აგრეთვე სანერგე მეურნეობების მოვლა. ამის შედეგად ნარგავები ჯანსაღია. მაგრამ რაიონში ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების საზამთრო სამუშაოები. ჩაის პლანტაციების დაბარვის გეგმა 16 თებერვლისათვის შესრულებულია 49,5 პროცენტით. ჩამორჩნენ მიქოიანის, ბუდიონის, სტალინის სახელობის კოლმეურნეობები და ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასუქის გადაზიდვა და მისი პლანტაციებში შეტანა. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სადრენაჟო ქსელის გაწმენდას. წყალგამტარი არხების გაწმენდის დავალება მხოლოდ 31 პროცენტით არის შესრულებული. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოუმარაგებელია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით. რაიონს აკლია 500 საწურო, 2.000 ბარი, ამდენივე თოხი, 1.500 სეპარატორი, 2.000 მაკრატელი. ზოგიერთ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში არაწესიერი მოვლის გამო საგრძნობლად დაზიანებულია ციტრუსოვანთა პლანტაციები. სტალინის, კიროვის, სტახანოვის, კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობებში და მუხაესტატესა და ჩოჩხათის საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანთა პლანტაციები მოუვლელობით ისე დაზიანებული, რომ საეჭვოა მათ წელს ნაყოფი მოგვცენ.

— ამხანაგმა ბერიამ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 5 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში მოგვაგონა, რომ საჭიროა სერიოზულად ვიმუშაოთ ფორთოხლისა და ლიმონის საუკეთესო ჯიშების გამოსაყვანად, მათი მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. ეს მითითება სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს ბათუმის რაიონის მშრომელებს, — სთქვა თავის მოხსენებაში ამხ. ვ. სანიკიძემ. — რაიონში ორი უკანასკნელი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პლანტაციების დამუშავების ხარისხი. მაგრამ გვაქვს ნაკლოვანებანიც. ცუდად ჩატარდა ციტრუსების წამლობა. ცოტა რაოდენობით მოგვეპოვება შესაწამლავი აპარატები. ციტრუსოვანთა ნარგავების ირგვლივი შემობარვა დაგვიანებით ჩაატარეს ტიმოშენკოსა და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებმა. ციტრუსოვანთა პლანტაციები დაზიანებულია სტალინის, კაგანოვიჩის, წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობებში და კახაბრის საბჭოთა მეურნეობაში. ჩვენი მოვალეობაა გადაჭრით გავაუმჯობესოთ ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლა-პატრონობის საქმე, მთელი ძალები დავრაზმოთ იმისათვის, რომ წელს მივიღოთ მაღალი მოსავალი.

კამათში გამოვიდნენ სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. გოგოლაძე, მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ზუმბულიძე, კვირიკეს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. მეგრელიშვილი, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. გოგია, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ამხ. მხეიძე, მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ხვიჩია, ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ყურშუბაძე, აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფუტკარაძე და სხვები.

მეორე საკითხზე — საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ — მოხსენებით გამოვიდა აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. დ. მამულაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარაში საგაზაფხულო თესვისათვის 15 თებერვლამდე გამოყოფილი იყო სათესლე მასალა შემდეგი რაოდენობით — 6.485 ცენტნერი სიმინდი, 590 ცენტნერი ლობიო, 48.500 ცენტნერი კარტოფილი. მიმდინარეობს მუშაობა თამბაქოს სანერგეებში. თამბაქოს დასათესად მომზადებულია ნიადაგი.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადება კარგად მიმდინარეობს ქობულეთის რაიონის ანდრეევისა და ვოროშილოვის სახელობის, ბათუმის რაიონის ცხაკაიასა და მოლოტოვის სახელობის, ხულოს რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებში და ქედის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ დროშაში“. ჩამორჩნენ ბათუმის რაიონის ბერიას, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები, ქობულეთის რაიონის მარქსის სახელობისა და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობა. მათ არა აქვთ საკმაო რაოდენობის თესლეული, ცუდად უვლიან მუშასაქონელს, არ შესდგომიან მანქანა-იარაღების რემონტს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივანმა ამხ. მ. კალანდაძემ, ქედის რაიკომის მდივანმა ამხ ო. ბერიძემ, ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის გამგემ ამხ. ფანცხავამ, ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ფალავანდიშვილმა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ბეჭვაიამ.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილებანი.

სოფელ შრომის კოლმეურნეთა დელეგაცია უკრაინას გაემგზავრა

16 თებერვალს უკრაინაში გაემგზავრა სოფელ შრომის (მახარაძის რაიონი) ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის დელეგაცია. მის შემადგენლობაში არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ორაგველიძე, ბრიგადირი ნოე ჩხაიძე, ბუღალტერი კირილე გორგილაძე. ისინი სტუმრად ეწვევიან გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, საქართველოსა და უკრაინის ამ კოლმეურნეობებს დიდი ხნის მეგობრობა აქვთ. ომამდე ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

დიდი სამამულო ომის დღეებში ქართველმა კოლმეურნეებმა მოძმე უკრაინელებს ძმური ხელი გაუწოდეს. ახლაც ეხმარებიან ომით მიყენებული ჭრილობის მოსაშუშებლად.

რა მიღწევები აქვს შრომის კოლმეურნეობას?

გასული სამეურნეო წელი მან დიდი წარმატებით დაამთავრა, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარა 2.711 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ერთი მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი, გაადიდა მოსავლიანობა. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა ოთხ მილიონ მანეთს გადააჭარბა, გაიზარდა შრომადღის ღირებულება.

ახალი წარმატებები აქვთ წელსაც. დროულად ამთავრებენ ჩაისა და ციტრუსების საგაზაფხულო სამუშაოებს. მომზადებულია თესლი, მუშა საქონელი, მანქანა-იარაღები. კოლმეურნეობა წელს თესავს სამოცდაათ ჰექტარ ყამირს.

დელეგაციის მონაწილე ნოე ჩხაიძის ბრიგადა, რომელიც შარშან ჩაება შეჯიბრებაში გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადასთან, სტახანოვურად მუშაობს. კოლმეურნეები ქეთო, სონა, თეოლინე ჩხაიძეები ჩაის პლანტაციებში ყოველდღიურად გეგმებს ორას-სამასი პროცენტით ასრულებენ.

შრომელებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებას საბჭოთა სუბტროპიკების შემდგომი აყვავებისათვის.

ლ. ლოლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის ოლქთა, მხარეთა და რესპუბლიკათა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1946 წლის იანვრის შედეგების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ, განიხილა რა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის ოლქთა, მხარეთა და რესპუბლიკათა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1946 წლის იანვრის შედეგები, **დაადგინა:**

1. ცნობილ იქნან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და გადაეცეთ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები 300 ათასი მანეთის რაოდენობით:

უკრაინის სსრ ვინიცის ოლქს
უკრაინის სსრ ხარკოვის ოლქს
ბელორუსიის სს რესპუბლიკას
ორიოლის ოლქს
ირკუტსკის ოლქს

2. აღინიშნოს, რომ 1946 წლის იანვარში ტრაქტორების რემონტის გეგმის შესასრულებლად კარგი მუშაობა გასწიეს ლატვიის, ესტონეთის, ყირგიზეთის, სომხეთის, საქართველოს, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკებმა, თათრეთის, ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკებმა. უკრაინის სს რესპუბლიკის კიევისა და ჟიტომირის ოლქებმა, ყაზახეთის სს რესპუბლიკის ყარაგანდის ოლქმა, ზღვისპირეთის მხარემ, ლენინგრადის, ფსკოვის, ყირიმის, ველიკიე ლუკის, მოსკოვის, ივანოვოს, სტალინგრადისა და სარატოვის ოლქებმა.

შალის ახალი ქსოვილები

წელს სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის შალეულის მრეწველობა აფართოებს ქსოვილთა გამომუშავების ასორტიმენტს. ამჟამად წარმოებაში ინერგება 23 ახალი სახის ქსოვილი, რომლებიც განირჩევიან მაღალი ხარისხით და გულმოდგინე გამოყვანით.

მონინის კომბინატი და წითელი არმიის მე-10 წლისთავის სახელობის ფაბრიკა დაიწყებენ ქალის საკაბე ქსოვილთა „მალვის“, „ფლოქსის“ და კრეპ „გაზაფხულის“ გამოშვებას. პეტრე ალექსეევის სახელობის მოსკოვის ფაბრიკაში გამოიმუშავებენ მამაკაცის საკოსტიუმე ახალი სახის ტრიკოს „დინამოს“ და ქალის საპალტოე დრაფს ფასონურ-დაძახული ნართიდან. ნოვი ნოგინსკის ფაბრიკამ აითვისა სამი ახალი სახის კოვერკოტის წარმოება მამაკაცისა და ქალის საზაფხულო პალტოსა და კოსტიუმისათვის. ახალ ქსოვილებს გამოუშვებენ აგრეთვე თბილისის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“ და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ამჟამად „გლავშერსტის“ ყველა ფაბრიკა ქსოვილთა ახალ ნიმუშებს ამუშავებს გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის. (საკდესი).

გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება თესვის სანიმუშოდ მომზადებისათვის

თესლს ახლა დაეძებენ

საგარეჯო („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). მოწინავე კოლმეურნეობები წარმატებით ემზადებიან გაზაფხულისათვის. დიდი სტალინის სიტყვით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომ ღირსეულად შეასრულონ წელს პარტიისა და მთავრობის დავალებანი.

სამწუხაროდ, ყველა კოლმეურნეობა მომზადებული ვერ ხვდება გაზაფხულს. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია თესვისათვის მზადებაში.

კოლმეურნეობათა საგრძნობ ნაწილში „ვიწრო“ ადგილს წარმოადგენს სათესლე მასალის მომარაგება, გაწმენდა, მისი სრულ კონდიციამდე აყვანა. გეგმით რაიონში მარცვლოვანი და ცერცვოვანი კულტურების თესლეული საჭიროა 4.557 ცენტნერი. 10 თებერვლისათვის თესლის გამოყოფის ეს გეგმა სანახევროდაც არ იყო შესრულებული. კარტოფილის თესლი საჭიროა 6.000 ცენტნერი, აქვთ მხოლოდ 2.572 ცენტნერი.

სოფელ მანავის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას ყველა კულტურათა თესლები უნდა ჰქონდეს 70 ცენტნერი, აქვს 36 ცენტნერი. თავთავიანი კულტურების თესლი კოლმეურნეობას 23 ცენტნერი სჭირდება, ამჟამად აქვს მხოლოდ 6 ცენტნერი. აკლიათ კარტოფილის თესლიც. აქ მინდვრებში წელს უნდა გაიტანონ 1.250 ურემი ნაკელი, 15 თებერვლისათვის გატანილია მხოლოდ 150 ურემი, ამავე სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში უნდა გაიწმინდოს 15 ცენტნერი ხორბლისა და 30 ცენტნერი ქერის თესლი, მაგრამ დღემდე თესლის ნიმუშიც არ წარუდგენიათ შესამოწმებლად ლაბორატორიაში. სოფელ გიორგიწმინდის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობას თავთავიანი კულტურების სათესლე მასალა სულ არა აქვს. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ უჯარმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. არც აქ აქვთ მზესუმზირისა და კარტოფილის თესლი, ხოლო მინდვრად ნაკელის გატანაზე დღემდე არ უფიქრიათ. თესლი აკლიათ სართიჭალის ბუდიონის და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებსაც. ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ მინდვრად გაიტანა 30 ურემი ნაკელი, მაშინ როცა წელს უნდა გაიტანოს 2.000 ურემი. ასეთ მდგომარეობას ზოგან რატომღაც ურიგდებიან.

თესლის შემმოწმებელ ლაბორატორიაში კოლმეურნეობებს უნდა წარედგინათ 625 ცენტნერი გაზაფხულის ხორბლის თესლეული, წარადგინეს მხოლოდ 379 ცენტნერი. მათ შორის უკონდიციო აღმოჩნდა 188 ცენტნერი. რაიონში აგრეთვე აკლიათ კომბოსტოს, კიტრის, პამიდორის და ხახვის თესლი.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებაშიც არის ჩამორჩენა. რაიონში უნდა შეკეთდეს 322 გუთანი, შეკეთებულია 243. 112 „ზიგზაგი“ ფარცხიდან შეკეთდა 81. ცალკეულ კოლმეურნეობებში ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ამის მიზეზი არის საკოლმეურნეო სამჭედლოების ცუდი მუშაობა.

რაიონში ჯერ კიდევ დაბალია ხვნის ტემპი. მოხნულია 533 ჰექტარი. ნაკელი გატანილია წლიური გეგმის 9,3 პროცენტი.

ჩამორჩა საგარეჯოს კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველო“. აქ ხორბლის თესლს ახლა დაეძებენ. არ გააჩნიათ ფეტვის თესლიც. იარაღ-მანქანებიც შეუკეთებელია. მუშასაქონელი დასუსტებული ხვდება საგაზაფხულო ხვნა-თესვას. ამიტომ არის, რომ გუთნეულები მიცემულ ნორმებს ვერ ასრულებენ—0,40 ჰექტარის ნაცვლად ხნავენ 0,30 ჰექტარს. კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა. ზოგიერთი კოლმეურნე აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საკოლმეურნეო შრომაში, დილით 11 საათზე გამოდის სამუშაოდ და საღამოს ადრე ბრუნდება. წელს იანვარსა და თებერვალში 22 კაცი სულ არ გამოსულა სამუშაოდ. ანა ავალოვა, ფ. ესიაშვილი, ნ. ივანელაშვილი, ვ. ყორღანაშვილი, თ. დავითელაშვილი, ქ. კვესაშვილი, გ. მელაშვილი, მ. ესიაშვილი — აი ისინი, რომელნიც თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას. შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ საჭიროა მივიღოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

გაზაფხული მოდის. ძვირფასია თვითეული დღე. საჭიროა უახლოეს დღეებში გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და მომზადებული შევხვდეთ თესვას. ამას მოგვიწოდებს დიდი სტალინის ისტორიული სიტყვა მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე. ამასვე მოგვიწოდებს როსტოველ კოლმეურნეთა პატრიოტული მიმართვა.

ნ. ჯანჯღავა

როსტოველთა მოწოდებას საქმით უპასუხებენ

გორის რაიონის კოლმეურნეები შეუდგნენ მინდვრის სამუშაოებს. ბევრგან დაწყებულია საგაზაფხულო ხვნა.

კარალეთის კოლმეურნეობაში ყოველდღიურად 14 გუთნეული მუშაობს. მოხნულია 100 ჰექტარზე მეტი მიწა. კოლმეურნეობა მომზადებული ხვდება საგაზაფხულო თესვას. როსტოველთა მოწოდების პასუხად მან იკისრა გეგმის გადამეტებით დასთესოს 120 ჰექტარი.

საგაზაფხულო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს ხიდისთავის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. გამზადებულია 53 ცენტნერი ლაბორატორიულად შემოწმებული თესლი. მოხნულია ოთხი ჰექტარი საჭარხლე ნაკვეთი, რომელშიც შეტანილია 90 ურემი ნაკელი.

მუშა საქონელი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. კოლმეურნეები სამაგალითოდ უვლიან პირუტყვს. როსტოველთა მიმართვამ კოლმეურნეობაში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. კოლმეურნეებმა იკისრეს საგაზაფხულო თესვა 5 დღით ადრე დაამთავრონ.

გორის რაიონის კოლმეურნეები აჩქარებენ მანქანა-იარაღების შეკეთებას, თესლის მომზადებას და ბაღვენახებში აძლიერებენ მუშაობის ტემპს.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის აღსანიშნავად

ქვანახშირი გეგმის გადამეტებით

ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებული ტყიბულელი მეშახტეები ძვირფას საჩუქრებს ამზადებენ საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის დღესასწაულისათვის. ტრესტის ყველა შახტი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმებს. მეშახტეთა ქალაქში ყოველღამ ბრწყინავს „გამარჯვების ვარსკვლავი“.

წელს განსაკუთრებით კარგად მუშაობს სტალინის სახელობის შახტი. ამ შახტის კოლექტივმა (შახტის უფროსი ლ. რატიანი, პარტბიუროს მდივანი. რ. სადუნიშვილი) მძლავრი შრომითი აღმავლობით აღნიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეები. შახტმა 110 პროცენტით შეასრულა იანვრის გეგმა, რითაც პირველი ადგილი დაიკავა ტყიბულში. აქ ახლაც დიდი შრომითი აღმავლობაა. განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს აღწევენ პ. ხახიკაშვილის, ვ. გვენეტაძისა და დ. კახნიაშვილის უბნები. პ. ნანიკაშვილის უბანმა თებერვლის 15 დღის გეგმა 132 პროცენტით შეასრულა. დ. კახნიაშვილის მოსამზადებელი უბანი ახალი სანგრევების მომზადებასთან ერთად ათეულობით ტონა ქვანახშირს იძლევა ყოველდღიურად.

წარმატებებს აღწევენ შახტის მოწინავე მნგრეველები. მებიგეები და მტვირთავები. ახალგაზრდა მნგრეველმა დ. ნემსაძემ უკვე გადაჭარბებით შეასრულა თებერვლის გეგმა. ასეთივე წარმატებით მუშაობს მნგრეველი უ. სოფრომაძეც. მან უკვე შეასრულა კვარტალის დავალება. კვლავ წინ მიდის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შალვა ესტატეს-ძე ფურცხვანიძე, რომელიც პირველ საექსპლოატაციო უბანში მუშაობს. მან 12 თებერვალს 10 ტონის ნაცვლად 31 ტონა ქვანახშირი მოანგრია.

უბნების, ცვლების, ბრიგადებისა და მეშახტეების რიტმული მუშაობის შედეგად სტალინის სახელობის შახტი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს სადღეღამისო დავალებას. შახტს ქვანახშირის მოპოვების 15 დღის გეგმა 122,2 პროცენტით აქვს შესრულებული, ხოლო ახალი სანგრევების მომზადების გეგმა—113 პროცენტით.

თებერვლის პირველი ნახევრის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით აქვს შესრულებული აგრეთვე ლენინის სახელობის შახტს. მთლიანად ტრესტმა ქვანახშირის მოპოვების თებერვლის პირველი ნახევრის გეგმა 112 პროცენტით შეასრულა.

დ. ქათამაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სპილენძის მგლინავთა წარმატებანი

დიდი შრომითი აღმავლობაა თბილისის სპილენძსაგლინავ ქარხანაში. აქ არიან სტახანოველები, რომლებმაც 15 თებერვლისათვის უკვე შეასრულეს მთელი თვის გეგმა, გაანაღდეს საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს აღწევენ მდნობელების მ. დავითაშვილისა და გ. მჭედლიშვილის ბრიგადები, რომლებმაც თებერვლის საწარმოო დავალება 15 დღეში 105 პროცენტით შეასრულეს. დიდი სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებულმა ამ ორივე ბრიგადის წევრებმა იკისრეს სოციალისტური დახმარება გაუწიონ მგლინავებს. ქარხნის მოწინავე სტახანოველები, მდნობელები და მგლინავები ამხ. დ. კიკნაძე, ვ. ბენდიანიშვილი, დ. ხილაგაძე, შ. ვარდაშვილი და სხვები უკვე ერთ კვირაზე მეტია სტახანოვურ ვახტზე დგანან და დღიურ საწარმოო დავალებებს სამმაგად ასრულებენ.

მგლინავთა ბრიგადებს შორის დიდი წარმატებით მუშაობს ნ. შომახიას ბრიგადა. მან სპილენძის შავად გაგლინვის თებერვლის გეგმა 15 დღეში შეასრულა და ახლა გადავიდა სუფთად გაგლინვის სამუშაოზე. ამ ბრიგადაში მაღალნაყოფიერად მუშაობენ სტახანოველი მგლინავები მ. სეფიაშვილი, ა. ჯაფარიძე, გ. კვირიკაშვილი და სხვ.

დაწინაურდნენ აგრეთვე ოსტატი ბ. ახობაძე და გალვანურ-ტექნიკური საამქროს სტახანოველი ი. ქვათაძე.

მუშათა მძლავრი შრომითი აღმავლობის ნაყოფი ნათლად სჩანს: ქარხანამ იანვრის საწარმოო დავალება 111 პროცენტით შეასრულა, ხოლო თებერვლის პირველ ნახევარში უკვე შესძლო გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოშვება.

ქ. მჭედლიშვილი

საქართველო პირველ ადგილზეა დამზადებათა გეგმების შესრულებაში

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა წარმატებით შეასრულეს 1945 წელს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

თბილისში მიღებულია სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის დეპეშა, რომ 1945 წლის მეოთხე კვარტალში დამზადებათა გეგმების შესრულების მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკა პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში და მას კვლავ მიეკუთვნა სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პირველი პრემია და გარდამავალი წითელი დროშა.

გარდამავალ წითელ დროშას დამზადებათა დარგში წარმატებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკა ზედიზედ მეექვსეჯერ იღებს.

სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმები რესპუბლიკაში შესრულებულია: მარცვლეულისა—110,5 პროცენტით, მზესუმზირისა—100,1, კარტოფილისა—101,2, ბოსტნეულისა—103,9, შაქრის ჭარხლისა—115,1, თამბაქოსი—102,2, ჩაის ფოთლისა—100,4, ციტრუსოვანთა ნაყოფისა—107,6, ყურძნისა—102,0, თესლოვანი ხილისა—103, დაფნის ფოთლისა—122,8, აბრეშუმის პარკისა—103,7, თივისა—101,4, ხორცისა—101,4, რძისა—103,6, ბრინზა ყველისა—106,8, კვერცხისა—100,0, მატყლისა—106,7 პროცენტით.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ყველა სახის ტყავნედლეულისა და ქურქეულის დამზადებათა გეგმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

ძველი მაზარა

გამოუვლია მკაცრ ბრძოლებში წლები ხანგრძლივი,
მუდამ ქარიშხლად აღმართულა ცეცხლის წინაშე,
დიდი ხანია — ომგადახდილ ჯარისკაცივით
დაბრუნებულა და ისვენებს კრემლის ბინაში.

როცა ომის ხმა, მოვარდნილი წვიმით და ქარით,
მიწას არყევდა, მძვინვარებდა, ზეცას ბზარავდა,
ის, ცარიცინში, მტრის ურდოთა პირისპირ მდგარი,
რევოლუციის შეუპოვარ მკერდს იფარავდა.

ჰგავდა მღელვარე შუქის ტალღას გზა განუხრელი,
კვამლის წყვდიადში ინთქებოდა დღე ცის-მარადი.
ის იყო მისი მეგობარი, ძმა განუყრელი,
შეუმსჭვალავი, შეუმკრთალი, ვით მუზარადი.

მან ღრმა ცხოვრების მეწამული ზღვა გადასცურა,
ცეცხლის რიყრაყში რვალისფერად ფრთა შეჰლებია.
ძმათშეფიცულთა სანუკვარი გრძნობის დასტურად
დიდი ლენინის თბილი ხელი მას შეჰხებია.

ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს, ნასეტყვს, ნატყვიარს,
თავს ევლებოდა დროშის ქარი ფრთების ალერსით.
თითქოს გულმკერდზე ვარსკვლავივით ახლაც ატყვია
დედის ამბორი, დედის კოცნა უმხურვალესი.

თითქოს იგონებს ბრძოლის წარსულს, საზარელ ომებს,
მაგრამ ეს ომი არ უნახავს, — უფრო საზარი,
შეიმშუშნება, როცა გვერდით ჩაუვლის ხოლმე
ფოლადის კაცი, შემოსილი მარშლის მაზარით.

კოლაუ ნადირაძე

სტალინი

ადგება დილით და თვალებით შეხვდება ლენინს,
რომლის სურათი მას დასცქერის კედლიდან მუდამ.
კაცობრიობის მოამაგეს, უმისოდ შთენილს,
თითქოს საყვარელ მასწავლებლის დასტური უნდა!..

მარად ცოცხალი, ბუმბერაზი წინამორბედი
მას სიყვარულით გადმოხედავს: — მან კარგად იცის,
იცის, თუ ვისაც ჩააბარა მსოფლიოს ბედი —
კაცს დაუძლეველს, შემსრულებელს დიადი ფიცის.

და როცა ღამით იგი, ჩვენზე ფიქრში გართული,
შენიშნავს ღია ფანჯარაზე მომდგარ ალიონს, —
შეხედავს ლენინს, გაუღიმებს შუბლგამართული,
მოაგონდება თავის ქოხი, მიწა ქართული
და აღელვებით მოუკიდებს ისევ ყალიონს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი კინოფილმი „დიადი დღე“

საქართველოს კინოქრონიკამ გამოუშვა ორნაწილიანი დოკუმენტური ხმოვანი კინოფილმი, „დიადი დღე“. ფილმში ასახულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე—10 თებერვალი საქართველოში.

ფილმის სასცენარო გეგმა ეკუთვნის ვ. კარსანიძეს, რეჟისორია შ. ჩაგუნავა, ტექსტი დასწერა მწერალმა ვ. ჟურულმა, მუსიკალურად გააფორმა კომპოზიტორმა გრ. კილაძემ, ტექსტს კითხულობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა.

ფილმს იღებდნენ ოპერატორები გ. ასათიანი, ლ. არზუმანოვი, ო. დეკანოსიძე, ნ. ნაგორნი, ა. პოლიკევიჩი, ა. ფილიპოვი და სხვ.

დიადი თარიღის აღსანიშნავად

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისათვის დასაბეჭდად მოამზადა სპეციალური კრებული. კრებულში მოთავსებული მასალები ასახავენ ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებას განვლილ პერიოდში.

25 თებერვლისათვის გამოშვებულ იქნება ერთდღიური გაზეთი, რომელშიც ფართოდ გაშუქდება ის მუშაობა, რაც მესხიშვილის თეატრმა ჩაატარა დიდი სამამულო ომის დღეებში. თეატრის ფოიეში გაიხსნება გამოფენა „ქუთაისის თეატრი 25 წლის მანძილზე“.

ისტორიული თარიღის წინ მოეწყობა წარმოდგენების საგანგებო დეკადა, რისთვისაც შერჩეულია თეატრის საუკეთესო დადგმები—„ორმის ხევი“, „ნინოშვილის გურია“, „ხევსბერი გოჩა“, „ქეთაბერის ქალი“ და სხვა.

დღესასწაულოდ თეატრი მაყურებელს უჩვენებს პრემიერას — კ. სიმონოვის პიესას „ასეც იქნება“. სპექტაკლს სდგამს რეჟისორი ს. ოყრეშიძე.

გ. მეფისაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ქართული ბატალიონის აჯანყება

„გამახსენდება სამშობლო,
გულის ძარღვები მადნება“.

დაწერილია ჰოლანდიაში, უცნობი ქართველი ჯარისკაცის მიერ.

ის, რასაც თქვენ ქვემოთ წაიკითხავთ, არის დოკუმენტური ჩანაწერი, შედგენილი იმ საბუთების საფუძველზე, რომლებიც დამოწმებულია ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. ნარკვევი შედგენილია აგრეთვე იმ ნაამბობის მიხედვით, რაც აჯანყების მეთაურთა და მონაწილეთაგან მოვისმინე. თვით ლექსებიც, რომლებიც ალაგ-ალაგ მომყავს, დაწერილია ქართველების მიერ სანტამარიაში, ცანტფორდბადში, ტექსელზე. მე არაფერი არ დამიმატებია, რადგან მინდოდა ეს ნარკვევი ყოფილიყო დოკუმენტი ქართველი კაცის სულიერ გაუტეხელობაზე, ზღაპრულ გამძლეობასა და ამტანობაზე.

ეს არის განსაცვიფრებელი და გულისდამწველი ისტორია. ძნელია მასზე წერა. მაპატიოს მკითხველმა, თუ ბევრი რამ ისე სრულად, ისე ყოველმხრივად ვერ გადმოგცეთ, როგორც საჭიროა. ყველა მოწმეს ველარ გამოჰკითხავ, ყველას ველარ ნახავ! სულ შვიდასორმოცდაათი იყვნენ ისინი და მათგან ხუთასოცდაექვსი დამარხულია ჩრდილოეთ ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე, ქალაქ დემბურგის მახლობლად. ათვალიერებთ დაღუპულთა და გადარჩენილთა სიებს, ფოტოპორტრეტებს, და მათ სახეებზე თითქოს კითხულობთ სულის იმ ძალას, რომელიც ვერ მოსტეხა, ვერ დაიმორჩილა ნაცისტურმა ჯოჯოხეთმა.

შორს წასვლით ქართველ კაცს რას გააოცებ! ორას წელზე მეტი ხნის წინ იბრძოდნენ ქართველები ფინეთის სრუტესთან, როცა ანნა იოანეს-ასულის პოლკებში ირიცხებოდნენ. ამაზე შორს რაღა უნდა ყოფილიყო მაშინ! მერე, შვიდწლიანი ომის დროს, რუსებთან ძმადშეფიცულმა ქართველმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა, ოდერზეც იომეს და ბერლინშიაც შევიდნენ, პირველი სამამულო ომის დროს პარიზამდე სდიეს ნაპოლეონის არმიას. ახლანდელ სამამულო ომში, უკვე თავისუფალი საქართველოს შვილებმა კვლავ იბრძოლეს უზარმაზარ ფრონტზე—მათ ისტორიაში არნახული და შეუდარებელი სიმამაცის ყველაზე საოცარი მაგალითები ახლა გვიჩვენეს, როცა ფინეთის სრუტესთან და ბესარაბიაში, დუნაისა და ოდერზე თავის სამშობლოს იცავდნენ. არ ყოფილა ქვეყანაზე არც ერთი პირი, რომლის დასათრგუნად ქართველის მახვილიც არ ამოსულიყო ქარქაშიდან. სადღა არ უბრძოლია ქართველის მარჯვენას, სადღა არ მოქნეულა ქართველის ხმალი!

მაგრამ დასავლეთ ფრისლანდიის კუნძულებზე ჯერ ქართველი კაცის ფეხი არ დადგმულიყო, აქაური წყალი ჯერ ქართველ კაცს არ დაელია, აქაური ჰაერით არ ესუნთქა.

და აი, ორმოცდახუთი წლის აპრილში ჰოლანდიაში ქართველებმა ბრძოლით აიღეს კუნძული ტექსელი, ოთხასხუთასი გერმანელი გასწყვიტეს, შვიდასამდე ბუნკერი ნაცარტუტად აქციეს, გერმანელთა სიმაგრეებისაგან ქვა ქვაზედაც აღარ დასტოვეს და, მიუხედავად მტრის გაავთრებული შემოტევისა, კუნძულის მიწა-წყალი მტერს აღარ დაანებეს.

ვინ იყვნენ ისინი? როგორ მოხვდნენ ტექსელზე? საიდან მოვიდნენ აქ? რა უნდოდათ შორეული ჰოლანდიის ამ კუნძულზე საჩხერელ და ზესტაფონელ, ზემოხოდაშნელ და ნაბახტეველ ბიჭებს? საიდან გაჩნდა აქ მთელი ქართული ბატალიონი?

უცნობი მიმართულებით

დიდი სამამულო ომის პირველი წელი იყო. უკრაინაში, კამენეც-პოდოლსკის მახლობლად, მტვრიან შარა-გზაზე საზიდრებისა და ოთხთვალათა ქარავანი მიემართებოდა. საზიდრებზე დაჭრილი მეომრები იწვნენ. აგვისტო ილეოდა. მზე დასავლეთისკენ იყო გადახრილი, როცა ჰაერში ნაცნობი ღმუილი მოისმა და მერე ისიყო თვითმფრინავების ფრთებსა და ფუზელაჟებზე მზის სხივებმა ცეცხლებრ გაკვესეს. სულ მალე ნათლად გამოჩნდა შავი ჯვრები თვითმფრინავების ფრთების ყვითელ ბოლოებზე. ცხრა გერმანული მანქანა მოფრინავდა, სამ სწორ კუთხედად იყვნენ დაწყობილნი. ისინი დაახლოვდნენ, ქარავანს გადმოუქროლეს და ჰაერში სვავებივით ტრიალი დაიწყეს. უეცრად ერთი მოსწყდა წრეს, ცხვირით დაბლა წამოვიდა და, როცა მას და მიწას შორის ორასი მეტრიღა დარჩა,—ისევ გასწორდა ჰაერში და ბომბები ჩამოჰყარა. ფუგასურმა ყუმბარამ ქარავანს შუა წელში დაარტყა და იმავე წამს მფრინავმა ტყვიამფრქვევის გრძელი ჯერებიც მიაყოლა. თვითმფრინავი ისევ მაღლა წავიდა. რამდენიმე საზიდრისაგან ნაფოტებისა და კაცის ხორცის ნაფლეთების მეტი აღარა დარჩა-რა. დანარჩენი თვითმფრინავები პიკზე აღარ წამოსულან, დაბლა დაეშვნენ და ქარავნის დაბომბვა დაიწყეს. დაჭრილები ხელახლა დასჭრეს და მრავალი დახოცეს კიდეც.

ადამიანთა კვნესისა, ცხენების შეშფოთებული ფრუტუნისა და მოტორების გუგუნისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. ყოველ წუთს გაისმოდა აფეთქებანი. მერე ისევ სიჩუმე ჩამოდგებოდა, ვიდრე ადამიანები გაოგნებისაგან გამოფხიზლდებოდნენ და ამოკვნესას შეიძლებდნენ. ის საზიდარი, რომელზედაც ევგენი არტემიძე იწვა, პირველ შეტევაზე თითქო გადარჩა. მაგრამ, აი, თვითმფრინავებმა მეორეჯერ შეჰკრეს კამარა, კვლავ საბრძოლო კურსზე გაწვნენ და მძიმედ დაჭრილ არტემიძეს სულ ახლოს მოესმა აფეთქების ხმა. ცხენები გაგიჟდნენ, ჯერ ყალყზე შედგნენ, მერე ისე დაახეთქეს წინა ფლოქვები მიწაზე, თითქოს მოსართავების გაწყვეტასა და თავისუფლად გაქცევას ლამობენო, მათ გზას გადაუხვიეს და ტრიალ მინდორში გაცოფებული ოთხახმით წავიდნენ. ცხენძლოლი ველარ აჩერებდა მათ. დაჭრილები აწყდებოდნენ აქეთ-იქით. არტემიძემ თვალი მოჰკრა: ერთმა თვითმფრინავმა მათკენ გადმოუხვია, საზიდარს წამოჰყვა, დაუახლოვდა და რაღაც შავი წერტილიც მოსწყდა თვითმფრინავს. ეს ყუმბარა იყო. გაისმა აფეთქების ხმა, სულ ახლოს დაეცა ყუმბარა. ზუსტად ვერ დაუმიზნა მფრინავმა. საზიდარი შესდგა, ცხენები გაფატრულნი ეყარნენ მიწაზე.

როგორც კი მტვერი და ბული ჩადგა, გაოგნებულმა არტემიძემ ულონოდ წამოიწია. მინდორზე გაიხედა. მთელი ქარავანი დალეწილი იყო. ცხენები და კაცები ერთმანეთზე დაყრილნი, სისიკვდილო კრუნჩხვაში ერთი მეორეში არეულნი იხოცებოდნენ. შორს, გზის გასწვრივ რამდენიმე მსუბუქად დაჭრილი კაცი, რაღაც საოცრებით გადარჩენილი ამ ჯოჯოხეთში, წამომდგარიყო და ფორხილით, ლანდებივით მილასლასებდა.

წამოიწია არტემიძემაც, მაგრამ ადგომა არ შეეძლო, არ შეეძლო წასვლა. ისევ მიმოიხედა ირგვლივ, თითქოს მფარველსა და დამხმარეს ეძებსო და მაშინღა დაინახა, რომ მარტო არ იყო, თითო ოროლა დაჭრილი კიდევ გადარჩენილიყო იმათ გარდა, ვინც წასვლა მოახერხა. მაგრამ ესენიც უმწეონი იყვნენ. ის იყო მზის ჩასვლას ერთი შუბის ტარისოდენაღა აკლდა, როცა გზაზე გერმანული ქვეითი ჯარის ბატალიონი გამოჩნდა. გერმანელები მიუახლოვდნენ დაჭრილებს, ნაცნობ სურათს გულგრილად დახედეს, მძიმედ დაჭრილები დახვრიტეს, დანარჩენები კი, ვისაც ოდნავ ძაიხც მოძრაობა შეეძლო, ტყვედ წაიყვანეს. ევგენიც ამ ტყვეთა შორის იყო.

პირველად თავის სიცოცხლეში მიდიოდა ევგენი არტემიძე, მსროლელი პოლკის ჯარისკაცი უცნობი მიმართულებით. მაშინ ის ოცდა ერთი წლის იყო.

ღამდებოდა ოცდახუთი აგვისტო ცხრაასორმოცდა ერთი წლისა.

სამი დღის შემდეგ კამენეც-პოდოლსკიდან შორს, ჩრდილოეთით, ველიკიე ლუკის მახლობლად გერმანელებმა ტყვედ იგდეს დაჭრილი ლეიტენანტი ნოე გონგლაძე, ყირიმში დაატყვევეს ნიკოლოზ მელიქია, ვიაზმასთან ხელში ჩაუვარდათ დაჭრილი გრიგოლ ჭანტურია. ეს ბედი ველარც კაპიტანმა შალვა ლოლაძემ აიცდინა. ტყვედ წაიყვანეს ქართველები გერმანელებმა, წაიყვანეს მაშინ, როცა ისინი დაჭრილები, ავადმყოფები იყვნენ, როცა ხელის განძრევის უნარიც აღარა ჰქონდათ. და ყველანი სადღაც, უცნობი მიმართულებით გაგზავნეს.

ქერათმიანი ტევტონის კლანჭებში

ისინი გაჰფანტეს ტყვეთა ბანაკებში. არტემიძე რუმინეთში მოხვდა, ბუდეშტის ბანაკში. პირველსავე დღეებში მან აქ არა ერთი თანამემამულე იცნო. მასთან ერთად აქ იყვნენ აკაკი მაჩაიძე, ვალიკო კუხალეიშვილი, ევგენი წიკლაური და მრავალი სხვანი. მაგრამ ჩამართვეს ბიჭებმა ხელი ერთიმეორეს. ეს ერთად ყოფნა უკანასკნელი იმედიღა იყო. ისე აედევნენ ერთიმეორეს, ჩრდილი რომ ჰქვება კაცს, ეშინოდათ კვლავ ერთმანეთს არ დაშორებოდნენ. დანარჩენები სხვა ქალაქებში მოჰყვნენ. მაგრამ რა ბედენაა სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი? გერმანული ჯოჯოხეთი ყველგან ერთნაირი იყო—რუმინეთშიც, პოლონეთის მიწაზეც, თვით გერმანიაშიც, ყველგან, სადაც კი ქერათმიანი ტევტონის ღმუილი ისმოდა.

ბუდეშტის ბანაკი ერთი უბრალო მინდორი იყო. ექვს კილომეტრამდე სიგრძე ჰქონდა და ოთხი—სიგანე. ბანაკი ხუთგზის იყო შემოღობილი ეკლიანი მავთულით. მავთულის ღობეს სამი მეტრი სიმაღლე ჰქონდა. მეორე და მესამე ღობეს შუა ყოველ ოცდაათ მეტრზე ტყვიამფრქვევები იყო დადგმული. ტყვიამფრქვევებთან ორ-ორი გერმანელი ჯარისკაცი იწვა. ლელა ყოველ წუთს იქით იყო დამიზნებული, სადაც სამხედრო ტყვეები ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდნენ. მესამე და მეოთხე ღობეს შუა დანაღმული ზოლი იყო მიწისა.

პირველად რომ შევიდნენ ბიჭები ბანაკში, მუხლამდე ბალახი იყო. მაგრამ ორი თვის შიმშილმა ისინი იქამდე მიიყვანა, რომ ეს ბალახი ფესვებამდე გაძოვეს. მერე ჩხირებით ძირების თხრა დაიწყეს. პური კი არა, წყალსაც არ იძლეოდნენ ბანაკში. როცა წვიმა მოდიოდა—გუბესა სვამდნენ, მზიან დარში კი წყურვილით იხრჩობოდნენ. აუარებელი ხალხი იხოცებოდა სიმშილით. არ იყო დილა, რომ ბანაკიდან ასი კაცის გვამი მაინც არ გაეტანათ.

ყველაფერი ეს რაღაც ძალზე ცუდ სიზმარსა ჰგავდა. ადამიანებს სახელითა და გვარით აღარავინ იცნობდა. თვითეულ ტყვეს მხოლოდ ნიშნები ეკრა ზურგზე. ტყვეთა პირველ ბატალიონს ზურგზე წითელი წერტილი ჰქონდა, მეორეს—ორი თეთრი წერტილი, იყვნენ შავწერტილიანებიც, მაგრამ ეშმაკმა იცოდა რას ნიშნავდა ყველაფერი ეს.

გ. ნატროშვილი.

(გაგრძელება იქნება)

უშიშროების საბჭოს 16 თებერვლის საღამოს სხდომა

ლონდონი, 17 თებერვალი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს გუშინ საღამოს შემდგარ სხდომაზე სირიისა და ლიბანის მთავრობათა განცხადების განხილვისას გაჩაღდა ხანგრძლივი კამათი სტეტინიუსის (ამერიკის შეერთებული შტატები) და რიადის (ეგვიპტე) მიერ შეტანილი რეზოლუციების გამო.

სტეტინიუსმა სთხოვა საფრანგეთს, სირიასა და ლიბანს გამოეთქვათ თავიანთი აზრი მისი რეზოლუციის ტექსტის შესახებ.

ბიდომ იმედი გამოსთქვა, რომ არ შეიქმნება საჭიროება ფორმალური რეზოლუციის მიღებისა, მაგრამ რომ „საქმის ახლანდელი მდგომარეობისას იგი მხარს უჭერს სტეტინიუსის წინადადებას".

ლიბანის სახელით ფრანჟიემ განაცხადა, რომ იგი ამჯობინებს ეგვიპტის რეზოლუციას. მექსიკის რეზოლუციაც უფრო ზუსტია. რაც შეეხება სტეტინიუსის რეზოლუციას, იგი ფიქრობს, რომ საბჭო ინფორმირებულ უნდა იქნას იმ ზღვრული დროის შესახებ, რაც დანიშნულია ევაკუაციისათვის, და რომ რეზოლუციაში ნათქვამი უნდა იყოს, რომ მოლაპარაკება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ტექნიკურ საკითხებზე.

ამხ. ვიშინსკიმ წინადადება მისცა ლიბანის დელეგატს წერილობით ჩამოაყალიბოს მის მიერ ნავარაუდევი ცვლილება სტეტინიუსის რეზოლუციისა. რამდენიმე წუთის შემდეგ ფრანჟიემ განაცხადა, რომ მას სურს, რათა რეზოლუცია შედგენილ იქნას ასეთი სახით: „უშიშროების საბჭო მხედველობაში იღებს ორივე მხარისა და საბჭოს სხვა წევრების მიერ გაკეთებულ განცხადებებს; რწმენას გამოსთქვამს, რომ უცხოეთის ჯარები სირიიდან და ლიბანიდან გაყვანილ იქნებიან ისე მალე, როგორც კი ეს შესაძლებელი აღმოჩნდება პრაქტიკულად; რომ ტექნიკური მოლაპარაკება მხოლოდდამხოლოდ ამ მიზნით დაუყოვნებლივ მოხდება, და მოითხოვს, რომ მხარეებმა უშიშროების საბჭოს აცნობონ ამ მოლაპარაკების შედეგები, აგრეთვე ჯარების გაყვანის საბოლოო თარიღი".

ბევინმა აზრი გამოსთქვა სტეტინიუსის რეზოლუციის განზრახული ცვლილების წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ საბჭოს არ შეუძლია მითითება მისცეს, რომ შეიძლება მხოლოდ ტექნიკური და არა სხვა რამე მოლაპარაკების წარმოება. ბევინმა შეცვლილი რეზოლუცია დაახასიათა როგორც განუხორციელებელი.

ფრანჟიემ უპასუხა ბევინს და განაცხადა, რომ მისი მთავრობა და, როგორც იგი ფიქრობს, სირიის მთავრობა ყოველგვარი მოლაპარაკების დაწყებას მოისურვებენ იმ პირობით, რომ ეს მოლაპარაკება არ განაპირობებს ჯარების ევაკუაციის შესახებ მოლაპარაკების შედეგს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არავითარ მოლაპარაკებაზე არ დათანხმდებიან.

ამხ. ვიშინსკიმ, რომელიც ფრანჟიეს შემდეგ გამოვიდა, განაცხადა, რომ, რაც უფრო მეტს მსჯელობს საბჭო ამ საკითხზე, მით უფრო ცხადი ხდება საჭიროება განმარტებულ იქნას საკითხი ნავარაუდევი მოლაპარაკების მიზნებისა და ხასიათის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭო ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწევს. ბევინს სურდა ძალიან ფართო ასპარეზი დატოვებინა მოლაპარაკებისათვის. განა ცხადი არ არის, რომ საბჭომ მკაფიო და გარკვეული გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს? მკაფიო გადაწყვეტილება წარმოდგენილია რიადის მიერ შემოტანილი რეზოლუციით.

ამხ. ვიშინსკის გამოსვლის დამთავრების შემდეგ სტეტინიუსმა იკითხა, შეიძლება თუ არა მის პირვანდელ ტექსტ რეზოლუციაში სიტყვების „ამ მიზნით" შემდეგ შეტანილ იქნას სიტყვები: „სხვა საკითხებისაგან დამოუკიდებლად".

ამხ. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ სტეტინიუსის შესწორება არ სცვლის მისი რეზოლუციის არსს.

ბევინმა აზრი გამოსთქვა მეტად ძლიერ შეზღუდვათა წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ ისწრაფვის დაიწყოს მოლაპარაკება ჯარების გაყვანის შესახებ, მაგრამ არ სურს, რომ მას ხელს უშლიდნენ აწარმოოს მოლაპარაკება სხვა საკითხებზე, მაგალითად, ვაჭრობის საკითხებზე.

ამაზე ფრანჟიემ მიუგო, რომ იგი მზად არის განიხილოს ჯარების გაყვანის ტექნიკური დეტალები, მაგრამ არ სურს განიხილოს გაყვანის პოლიტიკური პირობები. იგი მზად არის მიიღოს სტეტინიუსის წინადადება, თუ ყველა აღიარებს, რომ ეს წინადადება ეხება გაყვანის ტექნიკურ დეტალებს.

ამხ. ვიშინსკიმ სთქვა, რომ მას სურს, რათა ნათლად შეიგნონ, რომ საკითხი ჯარების გაყვანის შესახებ არ შედის ორივე დაინტერესებული მხარის კომპეტენციაში, არამედ თვით უშიშროების საბჭოს კომპეტენციაში. თუ საბჭო რჩევას მისცემს დაუყოვნებლივ და ერთდროულად გაყვანის შესახებ, მაშინ შეიძლება დაწყებულ იქნას მოლაპარაკება ტექნიკურ დეტალებზე. თუ მიღებულ იქნა ბიდოს ინტერპრეტაცია, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ მოლაპარაკება ეხება თვით საკითხს ჯარების გაყვანის შესახებ. ეს მიუღებელია საბჭოთა დელეგაციისათვის.

ელ-ხურიმ განაცხადა, რომ მისი მთავრობა ამჯობინებს ამჟამად არ დაიწყოს არავითარი მოლაპარაკება საფრანგეთთან მანამდე, სანამ მისი ჯარები სირიაში იმყოფებიან. როგორც კი ჯარები წავლენ, მთავრობა გამოიჩენს მზადყოფნას დაიწყოს ყოველგვარი მოლაპარაკება, რომელიც ხელს შეუწყობს კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ორ მხარეს შორის.

პოლონეთის წარმომადგენელმა მოძელევსკიმ განაცხადა, რომ სტეტინიუსის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პირვანდელი ტექსტი ტექნიკურ საკითხებზე მოლაპარაკებას უქვემდებარებს სხვა საკითხებზე მოლაპარაკებას. მოძელევსკიმ ეჭვი გამოსთქვა იმის შესახებ, შედის თუ არა მოლაპარაკება კულტურულ და ეკონომიურ საკითხებზე უშიშროების საბჭოს კომპეტენციის სფეროში. ამიტომ იგი ფიქრობს, რომ მოლაპარაკება უნდა შეეხოს მხოლოდ „ევაკუაციის ტექნიკურ და პრაქტიკულ დეტალებს".

საბჭოს თავმჯდომარემ მეიკინმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ტექსტი ნათლად უჩვენებს, მოლაპარაკება ჯარების გაყვანის შესახებ უნდა სწარმოებდეს სხვა რამე მოლაპარაკებისაგან განცალკევებულად.

ამხ. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ თუ ახლა განზრახულია საკითხი კენჭისსაყრელად დაისვას, მაშინ, მისი აზრით, კენჭისყრა უნდა მოხდეს შემდეგი წესით: კენჭი უნდა იყაროს ჯერ ჰოლანდის რეზოლუციას, შემდეგ მექსიკისას, ეგვიპტისას, ხოლო მერმე ამერიკისას. მაშინ ვან კლეფენსმა განაცხადა, რომ, რამდენადაც მისი რეზოლუცია მეტად ახლოა სტეტინიუსის მიერ შეტანილ რეზოლუციასთან, იგი თავის წინადადებას ხსნის.

შემდეგ დაიწყო იმ შესწორებათა განხილვა, რომლებიც შეტანილი იყო ამერიკის რეზოლუციის შესაცვლელად. ამ განხილვას არავითარი შედეგი არ მოუცია. შემდეგ ამხ. ვიშინსკიმ დასვა კითხვა, კენჭისყრა მოხდება თუ არა წესდების 27-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად, სხვანაირად რომ ვთქვათ — ლაპარაკია „სიტუაციაზე" თუ „დავაზე".

მეიკინმა განაცხადა, რომ, მისი ფიქრით, აზრი არა აქვს შემდგომ დისკუსიას ამ პუნქტის შესახებ. მან წინადადება შეიტანა — ითვლებოდეს, რომ დავა არსებობს და რომ ამ საკითხს მიუდგება მე-3 პარაგრაფი.

ბიდომ განაცხადა, რომ თუმცა მას განზრახვა არა აქვს მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში, მაგრამ სურს დააზუსტოს, რომ, მისი აზრით, დავა არ არსებობს.

ბევინმა განაცხადა, რომ თუ ეს საქმე კლასიფიცირებულ იქნება, როგორც დავა, მაშინ იგი უდგება წესდების 37-ე მუხლს, ეს კი „სერიოზული საქმეა".

შემდეგ გამოვიდა ამხ. ვიშინსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ არ შეიძლება არავითარი ეჭვი არსებობდეს იმ საქმის ხასიათის შესახებ, რომელიც სირიისა და ლიბანის დელეგაციების მიერ დასმულია უშიშროების საბჭოს წინაშე. ლაპარაკია დავაზე, რომელშიც მონაწილეობს ორი სუვერენული სახელმწიფო. საბჭომ, სთქვა ამხ. ვიშინსკიმ, უნდა გადასჭრას ეს დავა. თუ საბჭოს სურს დავას მიუდგეს ობიექტურად, წესდება არ დაუმორჩილოს ეროვნულ ინტერესებს, არამედ ეროვნული ინტერესები დაუმორჩილოს წესდებას, მაშინ მან უნდა გამოიყენოს 27-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი და ამრიგად გამოარკვიოს, ვინ უნდა იღებდეს მონაწილეობას კენჭისყრაში.

შემდეგ გამოვიდა ბევინი და განაცხადა, რომ იგი განზე სტოვებს ყველა სხვა მოსაზრებას და ნებაყოფლობით იკავებს თავს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავისი შემდგომი მოქმედებისათვის ზიანის მიუყენებლად.

მეიკინმა წინადადება შეიტანა შეუდგნენ კენჭისყრას, რამდენადაც როგორც ბიდო, ისე ბევინი დასთანხმდნენ თავი შეიკავონ კენჭისყრაში მონაწილეობისაგან ისე, რომ ამან გავლენა არ მოახდინოს მათს შემდგომ მოქმედებაზე.

კენჭისყრის შედეგად მექსიკისა და ეგვიპტის რეზოლუციები უარყოფილ იქნა, რამდენადაც მათ ხმა მისცა მხოლოდ ოთხმა წევრმა (სსრ კავშირმა, პოლონეთმა, მექსიკამ და ეგვიპტემ).

სანამ სტეტინიუსის წინადადება კენჭისსაყრელად დაისმებოდა, ვიშინსკიმ შეიტანა მისი სამი შესწორება. ჯერ-ერთი, ნაცვლად სიტყვებისა „გამოსთქვამს იმის რწმენას, რომ უცხოელთა ჯარები გაყვანილ იქნებიან" და სხვ., ჩაერთოს სიტყვები: „ცნობად იღებს ინგლისისა და საფრანგეთის განცხადებებს იმის შესახებ, რომ მათი ჯარები გაყვანილ იქნებიან სირიიდან და ლიბანიდან". მეორე, ნაცვლად სიტყვებისა: „რაც შეიძლება მალე" ჩართულ იქნას სიტყვა „დაუყოვნებლივ". მესამეც, ჩართულ იქნას სიტყვა „ტექნიკური" სიტყვა „მოლაპარაკების" წინ. ამ შესწორებებს კენჭი უყარეს თითოეულს ცალკე: პირველ შესწორებას ხმა მისცეს პოლონეთმა, სსრ კავშირმა და ეგვიპტემ; მეორე შესწორებას — პოლონეთმა და სსრ კავშირმა; მესამე შესწორებას — პოლონეთმა, სსრ კავშირმა, ბრაზილიამ, ეგვიპტემ და მექსიკამ. ამრიგად, არც ერთი შესწორება არ იქნა მიღებული.

შემდეგ კენჭისსაყრელად დაისვა სტეტინიუსის რეზოლუცია, რომელსაც ხმა მისცეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ბრაზილიამ, ავსტრალიამ, ეგვიპტემ, მექსიკამ, ჩინეთმა და ჰოლანდიამ. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ წინადადებამ შეაგროვა საჭირო შვიდი ხმა და მიღებულად ითვლება.

მაგრამ ამხ. ვიშინსკიმ გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ 27-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი ითვალისწინებს საბჭოს 5 მუდმივი წევრის ხმის დამთხვევის საჭიროებას. ვიშინსკიმ სთქვა, რომ იგი საბჭოს მუდმივი წევრია, და რომ მან იმიტომ მისცა ხმა სტეტინიუსის წინადადების წინააღმდეგ, რომ მისი, ვიშინსკის, შესწორებანი, რომლებიც მას რეზოლუციის მიღების შესაძლებლობას მისცემდნენ, უარყოფილ იქნა.

მოძელევსკიმ განმარტა, რეზოლუციისათვის კენჭისყრისაგან თავი იმიტომ შევიკავე, რომ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ იგი კარგ შედეგს მოგვცემდაო.

შემდეგ ბიდომ, ხოლო მერმე ბევინმა განაცხადეს, რომ ვიშინსკის მიერ 27-ე მუხლის მიცემული ინტერპრეტაცია სავსებით სწორია იურიდიული თვალსაზრისით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი იღებენ საბჭოს უმრავლესობის გადაწყვეტილებას, ვინაიდან იგი გამოხატულია კენჭისყრით.

თავმჯდომარემ მეიკინმა სთქვა: ეს იმას ნიშნავს, რომ ხმის მიცემა ნამდვილი არ არის. მე ვფიქრობ, რომ ახლა უნდა გადავიდეთ მორიგ საქმეებზე.

შემდეგ საბჭომ რამდენიმე წუთში მოაგვარა თავისი მუშაობის მთელი რიგი ტექნიკური დეტალები. ამით დამთავრდა სხდომა.

საბჭომ გადასწყვიტა, რომ პროცედურის წესების განხილვა უნდა მოხდეს საბჭოს შემდეგ სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებით მთავარ ბინაზე, ნიუ-იორკში 21 მარტს. აგრეთვე გადასწყდა, რომ სამხედრო-საშტაბო კომიტეტი უშიშროების საბჭოსთან ერთდროულად შეიკრიბოს იმ პირობების განსახილველად, რომლებიც ჩამოყალიბებულია წესდების 43-ე მუხლში. უშიშროების საბჭოს ახალი თავმჯდომარე ბრაზილიის დელეგატი ფრეიტას-ვალე. გადასწყდა, რომ მას უფლება ეძლევა მოიწვიოს საბჭოს სპეციალური სხდომა, თუ ამას გარემოებანი მოითხოვენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანაშემწეების დანიშვნა

ლონდონი, 17 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ მოახდინა პირველი დანიშვნები თავის სამდივნოში. ა. სობოლევი დანიშნულია გენერალური მდივნის თანაშემწედ, რომელიც განაგებს უშიშროების საბჭოს საკითხების განყოფილებას, ადრიან პელტი (ჰოლანდია) დანიშნულია გენერალური მდივნის თანაშემწედ, რომელიც განაგებს კონფერენციების განყოფილებას და საერთო საკითხებს. ა. დ. კ. ოუენი (ინგლისი) — გენერალური მდივნის თანაშემწედ დირექტორის ხარისხით, ფილერი (ამერიკის შეერთებული შტატები) — გენერალური მდივნის მრჩევლად დირექტორის ხარისხით.

ამხ. ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა უშიშროების საბჭოს სხდომაზე

ლონდონი, 16 თებერვალი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე სირიისა და ლიბანის განცხადების განხილვისას გამოვიდა ამხ. ა. ი. ვიშინსკი. მან სთქვა:

„ყოველივე იმის შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ წინა სხდომებზე უკვე განიხილა საბერძნეთისა და ინდოეთის საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ ისეთი საკითხის გადაჭრა, როგორიც წარმოიშვა სირიისა და ლიბანის მთავრობების განცხადებასთან დაკავშირებით, არავითარ სიძნელეს არ გამოიწვევდა.

მაგრამ ჩვენ უკვე მთელი დღეა ვიხილავთ ამ განცხადებებს და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს უშიშროების საბჭოში ცდილობენ მონახონ საკითხის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც სინამდვილეში დაგვაცილებდა ნამდვილ ამოცანას, რომ ცდილობენ მონახონ საკითხის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც ეწინააღმდეგება ან, უეჭველია, მიმართულია იქითკენ, რათა იმ პრინციპული მოსაზრებების წინააღმდეგი გავხდეთ, რომელთა შესახებ ლაპარაკი იყო უშიშროების საბჭოში ანალოგიური საკითხების განხილვისას. აი რატომ მიმაჩნია საჭიროდ კვლავ დავუბრუნდე საკითხის ასე პრინციპულად დაყენებას. ახლა სწორედ ეს მინდა გავაკეთო. ჩვენ აქ მოვისმინეთ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის საფრანგეთის დელეგაციის მეთაურის ბატონ ბიდოს განმარტება და სერ კადოგანის განმარტება, რომელმაც გამოსთქვა ბრიტანეთის მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხზე. მინდა შევჩერდე, უწინარეს ყოვლისა იმაზე, რაც აქ ბიდომ სთქვა.

მე უნდა მოგაგონოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც საფრანგეთის წარმომადგენელმა გენერალმა ბეინემ გადასცა სირიისა და ლიბანის მთავრობებს 1945 წლის 18 მაისს. ამ დოკუმენტში საფრანგეთის მთავრობა აცხადებდა, რომ იგი ყოველმხრივ უჭერს მხარს სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობას და ამავე დროს აღნიშნავდა, რომ საფრანგეთს სირიასა და ლიბანში თავისი ინტერესები აქვს, რომლებიც საფრანგეთის მთავრობისაგან განსაკუთრებულ ღონისძიებებს მოითხოვენ. შემდეგ ამ ბარათში მოყვანილია ეს ინტერესები.

ეს დოკუმენტი იწყება ასეთი სიტყვებით: „თავისუფალი საფრანგეთის ხელისუფალთა პირველი ნაბიჯი, როცა ისინი 1941 წელს ლიბანში შევიდნენ, იყო სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობის გამოცხადება. სწორედ ამ ნაბიჯის შედეგად მიღწეულია ამჟამად ეს დამოუკიდებლობა".

საფრანგეთის მთავრობა ამ სამახსოვრო ბარათში აცხადებს, რომ მას განზრახვა აქვს საფრანგეთის ინტერესები დაიცვას იმგვარად, რომ არ შეეხოს სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობას. ბარათში ნათქვამია: „საფრანგეთი ამაყობს იმით, რომ მის მიერ წამოწყებული დაცვა ასე ბედნიერად დამთავრდა. მას სურს, რომ სირიისა და ლიბანის მთავრობებმა თავიანთ სრულ ძალა-უფლებას ახორციელებდნენ სავსებით შეუფერხებლად და დაუბრკოლებლად".

ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა იმას, თუ რა პირობებში შეუძლია საფრანგეთის მთავრობას დათანხმდეს, რათა გადასცეს სირიისა და ლიბანს ეგრეთწოდებული სპეციალური ჯარები. გენერალ ბეინეს ამ ბარათში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მთავრობა ამაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, როცა მიღწეული იქნება შეთანხმება სამი მიმართულებით—კულტურული, ეკონომიური და სტრატეგიული მიმართულებით. ამგვარად, თვით საკითხი სირიისა და ლიბანის სახელმწიფოების განკარგულებაში სპეციალური ჯარების გადაცემის შესახებ, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამტკიცება იქნებოდა ამ სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემისა, დამოკიდებული ხდება იმაზე, შესრულდება თუ არა ის მოთხოვნები, რომლებიც საფრანგეთის მთავრობას თავისთვის შესაძლებლად მიაჩნდა წაეყენებინა ამ ორ სახელმწიფოსათვის კულტურული, ეკონომიური და სტრატეგიული მხრივ. მე ვფიქრობ, რომ კულტურული ინტერესების დაცვა უფრო მიზანშეწონილი, სწორი და სამართლიანი იქნებოდა კულტურული საშუალებებით, სამართლიანი იქნებოდა დაცული ყოფილიყო თავისი კულტურის გავლენის საშუალებით და არა შეიარაღებული ძალების საშუალებით.

როგორც სჩანს, დე გოლის მთავრობა თავის დროზე სხვა თვალსაზრისს იდგა. მას შემდეგ საფრანგეთში ზოგიერთი ცვლილება მოხდა. მაგრამ ბიდოს გამოსვლიდან არ სჩანს, რომ საფრანგეთის მთავრობის თვალსაზრისი შეცვლილია. იგივე უნდა ითქვას ეკონომიური ინტერესების შესახებ. ჯანსაღი ეკონომიური ინტერესები და ურთიერთობა სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ამ ინტერესების სწორ გაგებაზე აგებული, უნდა ვითარდებოდეს სათანადო სახელმწიფოების ეკონომიური დაინტერესების საფუძველზე, და არა ისეთ საფუძველზე, როგორიც მოყვანილია 1945 წლის 18 მაისის ბარათში, და რომელიც თავისთავს თვითვე ამჟღავნებს.

ბოლოს, რაც შეეხება სტრატეგიულ პოზიციებს, ან სტრატეგიულ ბაზებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან, როგორც ამის შესახებ ნათქვამი იყო გენერალ ბეინეს ბარათში, უზრუნველყონ საფრანგეთის მიმოსვლის გზები მის ზღვისიქითა სამფლობელოებთან, ამ მოთხოვნის სტრატეგიული ხასიათი არ საჭიროებს განსაკუთრებულ განმარტებას. ყველა ეს საკითხი ნორმალურ პირობებში უნდა გადაწყდეს, ყოველ შემთხვევაში, არა იმ საშუალებებით, რომლების გამოყენებასაც ფიქრობდა სირიისა და ლიბანის მიმართ გენერალი ბეინე. გასაგებია, რომ ასეთ სამახსოვრო ბარათზე, მასში გამოხატულ პოზიციასთან დაკავშირებით, ლიბანისა და სირიის მთავრობებს შეეძლოთ მხოლოდ ისე ეპასუხათ, როგორც უპასუხეს. ლიბანის მთავრობამ 1945 წლის 19 მაისს განაცხადა, რომ მას არ შეუძლია მოლაპარაკება აწარმოოს შეიარაღებული ძალების მუქარით და დასძინა, რომ ეს სამახსოვრო ბარათი, იმ სახით, როგორითაც ის არის, თავისი სულისკვეთებით, განზრახვებითა და მისწრაფებებით, რაც მასშია გამოხატული, შეუთავსებელია ლიბანის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტთან. ასეთივე განცხადება გააკეთა რამდენიმე დღის შემდეგ სირიის მთავრობამაც, რომელმაც ამ ბარათზე ასეთივე პასუხი გასცა. სირიის 20 მაისის ნოტაში ნათქვამი იყო: „ამ ფაქტების გამო სირიის მთავრობას, რომელსაც არაერთხელ წარმოუდგენია დამამტკიცებელი საბუთები შერიგების სულისკვეთებისა და იმ პრობლემის გადაჭრის სურვილისა, რომელიც საფრანგეთისა და სირიას შორის სდგას, მიმაჩნია, რომ სამახსოვრო ბარათი—მხედველობაშია 1945 წლის 18 მაისის სამახსოვრო ბარათი,—თავისი სულისკვეთებითა და ფორმულით ისეთ მოთხოვნებს იწვევს, რაც შეუთავსებელია სირიის დამოუკიდებლობასთან და ამრიგად, სირიის მთავრობას არ შეუძლია ამ საფუძველზე აწარმოოს მოლაპარაკება საფრანგეთთან".

ასეთი იყო ის პირობები, რომელთა შესახებ ლაპარაკობდა საფრანგეთის მთავრობა 1945 წლის მაისში, პირობები, რომლებიც სირიისა და ლიბანის მთავრობებს არ შეეძლოთ არ შეეფასებინათ როგორც სირიისა და ლიბანის სუვერენიტეტის დარღვევა, არ შეეძლოთ არ შეეფასებინათ ისე, როგორც უნდა შეაფასოს ყველამ, ვისაც სწორი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა არის სუვერენიტეტი და რა არის სუვერენიტეტის დარღვევა.

და აი ახლა, როცა ჩვენ უშიშროების საბჭოში მოვისმინეთ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის ბიდოს განცხადება, რომელმაც სთქვა, რომ საფრანგეთის მთავრობა მზად არის განიხილოს პირობები, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა გამოსავალი გვეპოვნა შექმნილი მდგომარეობიდან, ბუნებრივია, წამოიჭრა საკითხი, რა პირობებზე ლაპარაკობს და ფიქრობს ბიდო?

ეს ის პირობები ხომ არ არის, რომლებიც წარმოდგენილი იყო 1945 წლის 18 მაისის ბარათში, თუ ეს რამე სხვა პირობებია და ამ შემთხვევაში—სახელდობრ რა პირობები? ნუ თუ უშიშროების საბჭოს შეუძლია დაკმაყოფილდეს ასეთი განცხადებით მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან საკითხზე, მე ვიტყოდი, მეტად საშიშ საკითხზე, რომელსაც ახლა ვიხილავთ უშიშროების საბჭოში? საფრანგეთის მთავრობა, როგორც ბიდომ სთქვა, მზად არის განიხილოს პირობები, რომლებსაც შეუძლიათ გადასჭრან ეს საკითხი, მაგრამ მან არ სთქვა, თუ რა აქვს მხედველობაში, რა პირობებია ეს პირობები? ის, რაც 1945 წლის მაისს შეეხება, ლაპარაკობს ისეთ პირობებზე, რომლებიც თავისთავად სირიისა და ლიბანის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აუცილებელ დარღვევას წარმოადგენენ. ამიტომ ის განმარტება, რომელიც ბიდომ მოგვცა, საბჭოთა დელეგაციას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებს, ვინაიდან ამ განმარტებაში იმავე სიმღერას იმეორებენ, რომელიც სირიამ და ლიბანმა უკვე 1945 წლის მაისში მოისმინეს.

მე მინდა მოგაგონოთ დე გოლის კიდევ ერთი გამოსვლა ივნისში საფრანგეთის საკონსულტაციო ასამბლეაში, გამოსვლა, რომელიც აგრეთვე დაკავშირებულია სირიასა და ლიბანთან და ამავე დროს დაკავშირებულია იმ განმარტებებთან, რასაც დე გოლი, რომელიც იმ დროს საფრანგეთის მთავრობას მეთაურობდა, იძლეოდა იმ ამბების გამო, რომლებიც, როგორც სამართლიანად არის ნათქვამი ლიბანისა და სირიის დელეგაციების ბარათში, განუწყვეტელ მღელვარებას იწვევდნენ ამ სახელმწიფოებში და მოწმობდნენ იმას, რომ ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარების ყოფნა მას შემდეგ, რაც თავიდან იქნა აცილებული თავდასხმის მუქარა გერმანელი აგრესორის მხრივ, სიძნელის წყაროს წარმოადგენდა. თავის ამ გამოსვლაში დე გოლი შემდეგს ამბობდა: „უდიდესი შეუსაბამობა, მთელი საგარეო ვაჭრობისა და ტრანსპორტის მონოპოლია, ინფორმაციისა და პროპაგანდის ვეებერთელა აპარატის გამოყენება, მრავალი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აგენტი, რომელთაც სამხედრო ფორმა ეცვათ—ასეთი იყო ის პირობები, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ ინგლისელებს უდიდესი და განუწყვეტელი დაწოლა მოეხდინათ ადგილობრივ ჩვენზე და ამავე დროს სირიისა და ლიბანის ხელმძღვანელებზე".

შემდეგ დე გოლი ამბობდა: „ცდილობდნენ საფრანგეთის ინტერესები შეეცვალათ ბრიტანეთის ინტერესებით იმ დარგებში, სადაც მათი სადავოდ გახდა შეუძლებელი იყო, როგორც მაგალითად, მოსულის ნავთის საფრანგეთის წილის გამოყენება, ტრიპოლის რკინიგზის ექსპლოატაცია, ხაიფა-ტრიპოლის რკინიგზის ექსპლოატაცია. რა თქმა უნდა, დროდადრო ლონდონში აკეთებდნენ პრინციპულ განცხადებებს, მაგრამ ადგილზე ფაქტიურად ყველაფერი კეთდებოდა შეთანხმებების საწინააღმდეგოდ, კერძოდ 1941 წლის 23 ივლისის შეთანხმების საწინააღმდეგოდ, თითქოს მიზნად იყო დასახული საფრანგეთის თანდათანობითი გამოდევნა. დამასკოსა და ბეირუთის მთავრობებთან ჩვენს ურთიერთობაში მუდმივი ჩარევა უცხო სახელმწიფოსი, რომელიც აშკარად დაინტერესებული იყო და რომელსაც გააჩნდა ასეთი საშუალებები, აუცილებლად იწვევდა ამ მთავრობების შეშფოთებას".

შემდეგ: „რა თქმა უნდა, თუ სირიის ზოგიერთ რაიონში ნავთის არსებობას, და ყოველ შემთხვევაში თვითეულ იმ ნავთსადენის კონტროლით დაინტერესებას, რომლებიც ხმელთაშუა ზღვისაკენ მიდიან, ერაყის ნავთით დაინტერესებას, საფრანგეთის წილის ჩათვლით, რომელიც ასეთი სახის ერთადერთი ჩვენი საკუთრებაა მთელს მსოფლიოში, შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ დიდი ბრიტანეთის პოზიციაზე, სხვა მოსაზრებებიც აგრეთვე გავლენას ახდენდნენ ბრიტანეთის იმპერიის ხელმძღვანელებზე. არავის არ შეუძლია უბრალო საბაბად ჩასთვალოს მათ მიერ განუწყვეტლივ შიშის გამოთქმა იმის შესახებ, რომ სირიისა და ლიბანის ამბები გავლენას მოახდენენ ინგლისის მდგომარეობაზე აღმოსავლეთის სხვა არაბულ ქვეყნებში".

რა დასკვნებს აკეთებდა დე გოლი აქედან თავის დროზე? (საინტერესოა გაგვეგო, სხვათაშორის, როგორია ბიდოს თვალსაზრისი ამ საკითხებზე?). დე გოლი ასეთ დასკვნას აკეთებს: „შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი ორი ერის ინტერესები და არაბული სახელმწიფოების ინტერესები მდგომარეობენ იმაში, რომ საფრანგეთმა და ინგლისმა დაიკავონ საერთო პოზიცია და გაატარონ საერთო პოლიტიკა, რაც ჩვენ არა ერთხელ შევგვითავაზნია".

ყოველივე იმის შემდეგ, რაც მე აქ ვსთქვი, ვფიქრობ, უფლება მაქვს გადავიდე 1945 წლის 13 დეკემბრის ეგრეთწოდებულ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაზე, რომელიც სწორად გამოხატავს ინგლისისა და საფრანგეთის მისწრაფებებსა და საერთო პოლიტიკას სირიისა და ლიბანის მიმართ. მე არ შევეხები ამ შეთანხმებას არსებითად. მაგრამ მე მსურს შევჩერდე საკითხზე, რომელიც, როგორც მე ვფიქრობ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ძირითად პრობლემასთან, რასაც ახლა იხილავს უშიშროების საბჭო, სახელდობრ იმ საკითხზე — თუ რა მნიშვნელობა აქვს ინგლის-საფრანგეთის ამ შეთანხმებას სირიისა და ლიბანის სუვერენიტეტისათვის და შეუძლია თუ არა მას რამენაირად დააკმაყოფილოს ის სუვერენული სახელმწიფოები, რომელთაც ეს დოკუმენტი ეხება.

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდე, ყურადღება უნდა მივაქციო შემდეგ გარემოებას: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 2 მუხლის 1 პუნქტში ნათქვამია, რომ ჩვენი ორგანიზაცია დაარსებულია ყველა მისი წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპზე, ხოლო სირია და ლიბანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან. ამ მუხლით აღიარებულია წესდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, სახელდობრ იმ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შედიან, რამდენადაც ლაპარაკია ამ სახელმწიფოებზე. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ იმავე მუხლის 2 პუნქტით ორგანიზაციის ყველა წევრს ეძლევა უზრუნველყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრისათვის ის უპირატესობანი, რომლებიც გამომდინარეობენ იქიდან, რომ ეს სახელმწიფოები შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ეს ორი პუნქტი—2 მუხლის 1 და 2 პუნქტები, აგრეთვე ის ფაქტი, რომ სირია და ლიბანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან, საკმარისი საფუძველი უნდა იყოს იმისათვის, რათა გავიგოთ, რომ ინგლის-საფრანგეთის 1945 წლის 13 დეკემბრის შეთანხმებას, რომელიც დადებულია მათი მონაწილეობის გარეშე, მათთან კონსულტაციის გარეშეც კი, ისე, რომ მათ მონაწილეობა არ მიუღიათ იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც მათ შეეხებოდა, სხვანაირად ვერ განვიხილავთ, თუ არ როგორც, ამ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დარღვევას.

ჩვენ აქ მოვისმინეთ სერ კადოგანის განცხადება, რომელმაც ინგლის-საფრანგეთის ამ შეთანხმების გამო სთქვა, რომ, რა თქმა უნდა, ეს შეთანხმება იდეალური არ არისო. ეს შეთანხმება, საერთაშორისო სამართლის ელემენტარული პრინციპების თვალსაზრისით, უკანონოა, არალოიალურია სირიისა და ლიბანის სუვერენიტეტის მიმართ და, რა თქმა უნდა, არავითარ იდეალზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება.

მიუხედავად იმისა იდეალურია და არაიდეალურია ეს შეთანხმება, მოვეპყრათ მას როგორც ფაქტს. არის შეთანხმება და, მას ეწოდება ინგლის-საფრანგეთის 1945 წლის 13 დეკემბრის შეთანხმება. მაგრამ რას იძლევა ეს შეთანხმება სირიისა და ლიბანის მთავრობების კანონიერი მოთხოვნების თვალსაზრისით სირიიდან და ლიბანიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ? რას იძლევა ეს შეთანხმება ამ თვალსაზრისით? მე მინდა სავსებით ობიექტურ პოზიციაზე ვიდგე. არის შეთანხმება. მე ასე მაქვს წარმოდგენილი, რომ ამ შეთანხმების ავტორებს ნამდვილად სურთ გამოიყვანონ ეს ჯარები. მაგრამ რა არის ნათქვამი ამის შესახებ შეთანხმებაში? და ამ კითხვაზე მე უნდა ვთქვა—რომ აიღოთ ყველაზე ძლიერი გამადიდებელი შუშა ან ტელესკოპი, თქვენ ვერაფერს ნახავთ ამ შეთანხმებაში, რაც უზრუნველყოფდა ამ კეთილგანზრახვათა რეალიზაციას, თუ კი ისინი ნამდვილად არსებობენ, ხოლო მე მინდა მჯეროდეს, რომ ისინი არსებობენ, სირიისა და ლიბანის ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ. თუ თქვენ ამ შეთანხმებას აიღებთ, დაინახავთ, რომ იქ მხოლოდ ალგებრაა, მხოლოდ განყენებული და რეალობაზე დაუმყარებელი დაპირებებია, ისიც ისეთი ფორმით, რომ ისინი არავის არავითარ ვალდებულებას არ აკისრებენ. ეს შეთანხმება არავითარი თვალსაზრისით, გარდა იქნებ თვით ამ შეთანხმების ავტორებისა, ვერავის დააკმაყოფილებს.

მე განსაკუთრებით უნდა მივაქციო ყურადღება ამ შეთანხმების ერთ აბზაცს, რომელიც ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. მე საჭიროდ არ მიმაჩნია ამ შეთანხმების განხილვა სხვადასხვა პოზიციიდან. მე უკვე ვთქვი, რომ საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისით იგი არ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა თუ კი არსებობს სუვერენული სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემა. მე მინდა ყურადღება მივაქციო შეთანხმების იმ ნაწილს, რომელიც ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. მინდა ყურადღება მივაქციო როგორც იმ სახელმწიფოს წარმომადგენელმა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია და რომლის პრესტიჟსაც ეხება ეს შეთანხმება. მე მხედველობაში მაქვს ამ შეთანხმების სახელდობრ შემდეგი აბზაცი: ნება მომეცით წავიკითხოთ: „ევაკუაციის პროგრამა (ამ შეთანხმებაში კი ლაპარაკია სირიიდან და ლიბანიდან საფრანგეთისა და ინგლისის ჯარების ევაკუაციის შესახებ) შედგენილი იქნება იმგვარად, რომ მან უზრუნველყოს ლიბანში საკმაო ძალების შენახვა, რომლებიც უზრუნველყოფენ უშიშროებას იმ დრომდე, როგორც ამას გადასწყვეტს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ვიდრე მოწყობილი არ იქნება ამ ზონაში კოლექტიური უშიშროება".

მე მინდა შევეკითხო შეთანხმების ავტორებს, რას ნიშნავს ეს მითითება, რომ ევაკუაციის პროგრამა შედგენილი იქნება ისე, რათა მან უზრუნველყოს ლევანტში საკმაო ძალების შენახვა, რომლებიც ამ ზონაში უზრუნველყოფენ უშიშროებას. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რაც წინასწარ გათვალისწინებულია 1945 წლის 13 დეკემბრის შეთანხმებით, რომ სირიასა და ლიბანში 1945 წლის 13 დეკემბრის შემდეგაც უნდა დარჩნენ უცხოეთის ჯარები და რომ ისინი უნდა დარჩნენ იმისათვის, რათა „უზრუნველყონ უშიშროება ამ ზონაში"? რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ ისინი დარჩებიან მანამდე, ვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადასწყვეტს ამ ზონაში კოლექტიურ უშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებს? უნდა ვსთქვა, რომ ჩემთვის, ვფიქრობ საბჭოს დანარჩენი წევრებისათვისაც, ცნობილი არ არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განზრახვა ჰქონოდა მიეღო რაიმე განსაკუთრებული გადაწყვეტილება ამ ზონაში კოლექტიური უშიშროების გამო. საიდან აიღეს ეს? რატომ იმოწმებენ ამ შეთანხმებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელმაც თითქოს რაღაც განსაკუთრებული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ამ ზონაში კოლექტიური უშიშროების შესახებ? საერთოდ რა შუაშია აქ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელსაც სინამდვილეში არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია იმასთან, რაც მაშინ ხდებოდა და ახლაც ხდება სირიასა და ლიბანში?

გადავდივარ შემდეგ საკითხზე. კადოგანის განცხადებით, ინგლისის ჯარები სირიასა და ლიბანში გამოჩნდნენ იმ დროს, როცა საჭირო იყო ამ ქვეყნებში მოკალათებული ფაშისტების გაძევება. მას შემდეგ, რაც ეს ამოცანა შესრულდა, ბრიტანეთის ჯარები იძულებული იყვნენ ჩარეულიყვნენ კონფლიქტში საფრანგეთის ჯარებსა და სირიის მოსახლეობას შორის. ამ შეტაკებებს სისხლისმღვრელი ხასიათი ჰქონდა და ჩვენ აქ მოგვაგონეს, რომ ბრიტანეთის ჯარები უნდა ჩარეულიყვნენ წესრიგის დასამყარებლად. მაშასადამე, ბრიტანეთის ჯარების ყოფნა სირიაში 1945 წლის მაისში გამოწვეული იყო ან დაკავშირებული იყო იმ უწესოებასთან, რაც აქ მოხდა საფრანგეთის ჯარების ყოფნასთან დაკავშირებით, რომელსაც შეტაკება მოუხდა სირიის მოსახლეობასთან. ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა „ამ ზონაში კოლექტიური უშიშროების" დამყარებას, არამედ კოლექტიური საშიშროების აღკვეთას, რაც შექმნილი იყო უცხოეთის ჯარების ყოფნით. კადოგანის და ბიდოს განმარტებებიდან სჩანს, რომ საშიშროება შეიქმნა საფრანგეთის ჯარების ყოფნისა და სირიის სუვერენიტეტის დარღვევის გამო, და რომ ინგლისის ჯარები საჭირო გახდნენ ამ საშიშროების აღსაკვეთად. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ დავსვამთ საკითხს, რომელიც აქ ფრანჟიემ (ლიბანის დელეგაციის მეთაური) წამოაყენა, ვის წინააღმდეგ იყო საჭირო ჯარების ყოლა სირიაში, აღმოჩნდება, რომ ინგლისის ჯარი იქ თავმოყრილიყო იმ უწესოების თავიდან ასაცილებლად, რასაც იწვევდა იქ საფრანგეთის ჯარების ყოფნა, ხოლო საფრანგეთის ჯარები იქ იმიტომ ჰყავთ, რომ იქიდან არ მიდიან ინგლისის ჯარები.

და ყოველივე ამას უწოდებენ „სუვერენიტეტის პატივისცემას". ეს, თურმე, საერთაშორისო სამართლის სრულიად ახალი ლექსიკონია. ვფიქრობ, ის განმარტებები, რაც ჩვენ აქ მოვისმინეთ კადოგანისა და ბიდოსაგან, მოწმობენ, რომ სირიასა და ლიბანში ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების ყოფნის ისტორიულად გამართლებული გარემოებანი სინამდვილეში უკვე აღარ არის, ის გარემოებანი, რომლებიც ამართლებდნენ ჯარების ყოფნას გერმანულ აგრესიასთან ბრძოლის თვალსაზრისით — ეს გარემოებანი ახლა უკვე აღარ არის, რომ ის პირობები, რომლებიც შეიძლება კანონიერი იყოს და ამართლებდეს უცხოეთის ჯარების, მოკავშირე უცხოეთის ჯარების ყოფნას მოკავშირე ქვეყანაში—ახლა აღარ არის.

საბერძნეთის საკითხის განხილვისას აქ აღიარეს, რომ მოკავშირე ქვეყანაში მოკავშირეთა ჯარები შეიძლება იმყოფებოდნენ მხოლოდ ამ მთავრობის მიწვევით ან კომუნიკაციის დაცვისათვის. ეს იყო ერთ-ერთი საბუთი, რომელიც აქ გამოიყენეს საბჭოთა კავშირის მოთხოვნის წინააღმდეგ საბერძნეთიდან ბრიტანეთის ჯარების ევაკუაციის შესახებ. ამბობდნენ: უკაცრავად, ბრიტანეთის ჯარი იქ იმიტომ იმყოფება, რომ ამას ითხოვს საბერძნეთის მთავრობაო. ახლა თხოულობენ საწინააღმდეგოს. მაშ რატომ იმყოფებიან იქ ეს ჯარები? თუ თქვენ მაშინ გთხოვდნენ დარჩენილიყავით, როგორც ამას აქ ამტკიცებდით, ახლა თქვენ გთხოვენ არ დარჩეთ. ვფიქრობ, ეს თხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. საფუძველი არა გვაქვს ვილაპარაკოთ რაღაც განსაკუთრებულ ინტერესებზე, რომლებიც მოითხოვენ მოკავშირე ქვეყანაში მოკავშირეთა ჯარების ყოფნას, დამოუკიდებლად იმ პირობებისა, რომლებიც ამართლებდნენ ამ ჯარების ამ ქვეყანაში ყოფნას.

კადოგანმა განაცხადა, რომ „ჩვენ—დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი—(ან იქნებ მხოლოდ დიდი ბრიტანეთი) უნდა გავთავისუფლდეთ პასუხისმგებლობისაგან სირიასა და ლიბანში მშვიდობისა და წესრიგისათვის". ამ კითხვაზე შეიძლება გავცეთ პირდაპირი და ნათელი პასუხი. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი სიამოვნებით, დაუყოვნებლივ განთავისუფლებს ამ პასუხისმგებლობისაგან საფრანგეთსაც და დიდ ბრიტანეთსაც, მით უმეტეს, რომ მათთვის ეს პასუხისმგებლობა არავის დაუკისრებია. ვფიქრობ, მათ ამ პასუხისმგებლობისაგან სიამოვნებით გაანთავისუფლებენ სირია და ლიბანი—ის ქვეყნები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ამ საქმით. პასუხისმგებლობა თავიანთ სახელმწიფოებში მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის მათ თვითონ უნდა იკისრონ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფოებმა, და მათ ამაში ხელს ვერავინ შეუშლის. ჩვენი ორგანიზაცია ამ მხრივ უნდა დაეხმაროს მათ. ეს გამომდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 2 მუხლის 6 პუნქტიდან, სადაც ნათქვამია: „ორგანიზაცია უზრუნველჰყოფს, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც მისი წევრები არ არიან, მოქმედებდნენ ამ პრინციპების შესაბამისად, რამდენადაც ეს შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის".

თუ კი ორგანიზაციის არაწევრიც კი უნდა მოქმედებდეს ისე, რომ უზრუნველყოს ამ პრინციპების ამოქმედება, რომლებიც ამ მუხლშია აღნიშნული, მით უმეტეს ეს წესი უნდა გამოვიყენოთ იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან.

ვფიქრობ, საკითხი მეტად მარტივად დგას. თუ თქვენ, კადოგან, დავობდით საბერძნეთის გამო—იურიდიულად რამდენად დასაბუთებულია მოთხოვნა საბერძნეთიდან ბრიტანეთის ჯარების გაყვანის შესახებ, როცა საბერძნეთის მთავრობა „თხოულობდა", რომ ეს ჯარები დარჩენილიყვნენ, ხოლო ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ამ პირობებშიც გამოყვანილი უნდა იქნან ბრიტანეთის ჯარები, ვინაიდან საბერძნეთის მთავრობა ამ შემთხვევაში შეცდომას სჩადის, მაშ რაღა საფუძველი გაქვთ ახლა უარი სთქვათ ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარების გამოყვანაზე, როცა ორი სუვერენული სახელმწიფო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორი წევრი—სირია და ლიბანი—თხოულობენ უშიშროების საბჭოში მათი ტერიტორიებიდან ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარების გაყვანის შესახებ. გამოსავალი მეტად უბრალოა, არავითარი დამატებითი მოლაპარაკება. საქმე მივიდა უშიშროების საბჭომდე, არსებობს ყველა პირობა იმისათვის, რომ განვიხილოთ ეს დავა, ვინაიდან ეს არის დავა და ეს გუშინ მეტად ავტორიტეტულად განმარტა ბევინმა, და ეს დავა უნდა გადავჭრათ წესდების საფუძველზე. ბიდო ამბობს: „მე არ ვიცი წესდების არც ერთი მუხლი, რომელიც შესაფერისი იყოსო". მე შემიძლიან დავეხმარო მას ამ საქმეში. დავასახელებ 1 მუხლის 33 პუნქტს, 2 მუხლის 33 პუნქტს, 1 მუხლის 34, 35, 36 პუნქტებს, 37 მუხლს. მე მოვიყვანე ექვსი მუხლი, ნუ თუ ეს საკმარისი არ არის?

ვფიქრობ, რომ შეიძლება დავაკმაყოფილოთ მოთხოვნა—მე ვამბობ არა თხოვნა, ვინაიდან აქ არ შეიძლება თხოვნა, არამედ მოთხოვნა, რომელიც სამართლიანად არის წამოყენებული დამოუკიდებელი სუვერენული ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტის საფუძველზე, სირიისა და ლიბანის მოთხოვნა, რათა უშიშროების საბჭომ გამოიტანოს გადაწყვეტილება სირიიდან და ლიბანიდან საფრანგეთისა და ბრიტანეთის ჯარების საერთო დაუყოვნებლივი და ერთდროული ევაკუაციის შესახებ. ორი თვის წინათ დადებული იყო ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება სირიიდან და ლიბანიდან ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარების ევაკუაციის შესახებ. მე გეკითხებით, რა გაკეთდა მას შემდეგ ამ შეთანხმების რეალიზაციისათვის? სად არის ის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ამ შეთანხმების რეალიზაციას, სად არის შედეგები? რა ღონისძიებები ტარდება? რა არის გაკეთებული რეალურად? არაფერი! ორი თვე გავიდა ისე, როგორც ერთი დღე. მაშ, უშიშროების საბჭო ამჯობინებს განზე იდგეს როგორც უცხო მაყურებელი? მაგრამ უშიშროების საბჭო ხომ ორგანოა, რომელსაც ნამდვილად ეკისრება მსოფლიოს წინაშე პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ სუვერენული სახელმწიფოს პატივი სცენ, რომ პატივი სცენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოთა თანასწორობის პრინციპს, რაც წესდებით არის აღიარებული.

ჩვენი ორგანიზაციისათვის ერთად-ერთი შესაფერისი გადაწყვეტილება არის დაკმაყოფილდეს სირიისა და ლიბანის მთავრობების მოთხოვნა, რასაც საბჭოთა დელეგაცია, საბჭოთა მთავრობის სახელით, აქ მთლიანად უჭერს მხარს".

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. რ. ა. რუდენკოს შესავალი სიტყვა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ №№ 32, 36)

V.

სამხედრო დანაშაულობანი

მომზადდა და განახორციელა რა ვერაგული თავდასხმა თავისუფლებისმოყვარე ხალხებზე, ფაშისტურმა გერმანიამ ომი გადააქცია გასამხედროებულ ბანდიტიზმის სისტემად. სამხედრო ტყვეთა დახოცვა, მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტა, ოკუპირებული რაიონების გაძარცვა და სხვა სამხედრო დანაშაულობანი წარმოადგენდნენ ჰიტლერელთა მიერ დაგეგმილი ტოტალური ელვისებური ომის პროგრამის ნაწილს. განსაკუთრებით შესამჩნევი მასშტაბი მიიღო და განსაკუთრებული სისასტიკით ხორციელდებოდა ფაშისტური ტერორი საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

1. მშვიდობიან მოქალაქეთა მასობრივი დახოცვა

…

ლებმა ლისენციკის ტყეში დახვრიტეს 200 ათასზე მეტი კაცი.

ამ მასობრივმა მკვლელობამ, ტერორისა და თვითნებობის ამ რეჟიმმა სრული მოწონება ჰპოვა ბრალდებულ როზენბერგის სიტყვაში გერმანიის შრომის ფრონტის სხდომაზე 1942 წლის ნოემბერში: „სჩანს,—განაცხადა როზენბერგმა,—თუ ამ ხალხებს (ესე იგი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს) დავიმორჩილებთ, თვითნებობა და ტირანია მართვაგამგეობის უაღრესად შესაფერისი ფორმა იქნება“.

შემდგომში, როცა წითელმა არმიამ დაიწყო გერმანელ ფაშისტთა ურდოებისაგან საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებული ტერიტო-…

„ადამიანთა დაუჯერებელი რაოდენობის გაზით მოწამვლა ხდებოდა, როცა „ტრანსპორტები“ მოდიოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან: საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, სსრ კავშირიდან, ნორვეგიიდან და სხვ. ტრანსპორტით მოყვანილ ადამიანებს უნდა გაევლოთ ბანაის სს-ის ექიმისა ბანაის სს-ის უფროსის წინ. იგი თითოეულ უჩვენებდა, მარჯვნივ თუ მარცხნივ. მარცხნივ ნიშნავდა გაზით სიკვდილს. ტრანსპორტით მოყვანილ 1.500 კაციდან საშუალოდ 1.200-1.300 ერთბაშად მიჰყავდათ გაზით სასიკვდილოდ. ზოგჯერ ბანაკში გაგზავნილ ადამიანთა პროცენტი ცოტათი…

ფართოდ ახორციელებდნენ საბჭოთა ადამიანების სისტემატურ ჟლეტას.

სსრ კავშირის დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე გერმანელების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის მასალებში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის ნოტებში სამხედრო ტყვეების ჟლეტისა და მათდამი სასტიკი მოპყრობის თაობაზე მოყვანილია ჰიტლერული მთავრობისა და გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ ჩადენილ ამ საზარელ დანაშაულობათა მრავალი ფაქტი.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის 1941 წლის 25 ნოემბრის ნოტაში…

…

(გაგრძელება იქნება)

მაკენზი კინგის განცხადება

ოტავა, 15 თებერვალი. (ტასი). კანადის პრემიერ-მინისტრმა მაკენზი კინგმა 15 თებერვალს შემდეგი განცხადება გააკეთა:

„უეჭველად სარწმუნო ცნობების საფუძველზე, რომლებიც კანადის მთავრობამ მიიღო, გამორკვეულია, რომ მოხდა საიდუმლო და კონფიდენციალური ცნობების გადაცემა იმ პირებისათვის, რომელთაც ამ ცნობების მიღების უფლება არა აქვთ, მათ შორის ოტავაში უცხოეთის მისიის ზოგიერთ თანამშრომლისათვის. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სრული კვლევა-ძიების ჩატარება, რასაც ამ ინფორმაციის დიდი მნიშვნელობა მოითხოვს, მთავრობამ კანადის უმაღლესი სასამართლოს ორ მოსამართლეს დაავალა ამოქმედონ როგორც სამეფო რწმუნებულებმა, რათა მოისმინონ ჩვენება და წარმოადგინონ მოხსენება, რომელიც გამოქვეყნდება. კომისია უკვე შეუდგა კვლევა-ძიებას, რაც დახურულ დარბაზში მიმდინარეობს. პროკურორის შუამდგომლობით და კომისიისათვის უკვე წარდგენილი ჩვენების სერიოზული ხასიათის გამო სამეფო რწმუნებულებმა წინადადება მისცეს პროკურორს მიმართოს იუსტიციის სამინისტროს, რათა მიიღოს დაკითხვის წარმოებისა და ამ მიზნით იმ პირთა დაკავების სანქცია, რომელთა შესახებ გამორკვეულია, რომ ისინი ჩარეული არიან ამ საქმეში ანდა ეჭვია, რომ ისინი ამ საქმეში მონაწილეობდნენ. ეს ღონისძიება დღეს განხორციელდა. ამ საქმეში ჩარეულ პირთა შორის არიან პირნი, რომელნიც ამჟამად მსახურობენ ან წინათ მსახურობდნენ მთელ რიგ სამინისტროებსა და მთავრობის ორგანოებში. მთავრობას განზრახული აქვს სამეფო რწმუნებულთა მოხსენების მიღების შემდეგ სასამართლო დევნა აღძრას იმ შემთხვევებში, როცა ბრალდება დადასტურდება. უმართებულო იქნებოდა, რომ ამ სტადიაში გაკეთებულიყო უფრო დაწვრილებითი განცხადება და, კერძოდ, გამოქვეყნებულიყო ჩარეულ პირთა ვინაობა. როგორც ეტყობა, ზოგიერთი მათგანი ამ საქმეში ჩარეულია უფრო აქტიურად და შეგნებულად, ვიდრე სხვები. როგორც სჩანს, ზოგიერთნი ცნობილ იქნებიან ცოტად…

…

23/II — „ნანა ტყეში“ (დასაწყისი დილის 10 ს. და დღის 1 ს.).

კინოებში

20 თებერვალს: რუსთაველის სახელობის— „სილვა“. ოქტომბერი — „გაზაფხულის ვალსი“. დამკვრელი — „ნათელი გზა“. კომკავშირელი— „ჟდანავერლი დამნაშავენი“. სპარტაკი—„ბოგდან ხმელნიცკი“. ლუქსემბურგის სახელობის — „ქალიშვილი ჰუმანზე მიეჩქარება“. 26 კომისრის სახელობის — „ტახირი და ზუხრა“. ოფიცერთა სახლი — „ბრძოლა ყირიმისათვის“.

საპარლამენტო არჩევნების შედეგები ბელგიაში

პარიზი, 18 თებერვალი. (ტასი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს ბელგიის დეპუტატთა პალატაში ადგილების განაწილების საბოლოო შედეგებს: ქრისტიანულ-სოციალური პარტია — 90 ადგილი (ნაცვლად 73 ადგილისა 1939 წელს), სოციალისტები — 69 (ნაცვლად 64-ისა), ლიბერალები — 17 (ნაცვლად 33-ისა), კომუნისტები—24 (ნაცვლად 9-ისა), ბელგიის დემოკრატიული კავშირი — 2.

სენატში ადგილები, წინასწარი ცნობებით, შემდეგნაირად განაწილდება: ქრისტიანულ-სოციალური პარტია — 51 ადგილი, სოციალისტები — 33, კომუნისტები — 11, ლიბერალები — 4 ადგილი.

ბელგიის მთავრობის გადადგომა

პარიზი, 18 თებერვალი. (ტასი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ბელგიის პრინც-რეგენტის კანცელარიამ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრმა ვან აკერმა პრინც-რეგენტს წარუდგინა მთავრობის გადადგომა. პრინცმა გადადგომა მიიღო, მაგრამ სთხოვა მთავრობას უხელმძღვანელოს მიმდინარე საქმეების წარმოებას.

ეგვიპტის ახალი მთავრობის შედგენა

კაირო, 16 თებერვალი. (ტასი). შედგენილია ეგვიპტის ახალი მთავრობა. ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრია ისმაილ სიდკი ფაშა.

მდგომარეობა ინდონეზიაში

ბატავია, 19 თებერვალი. (ტასი). ანტას სააგენტო იუწყება, რომ ინდონეზიის სხვადასხვა პუნქტებში გრძელდება ბრძოლა ინგლის-ჰოლანდიის ჯარებსა და ინდონეზიელებს შორის.

ბრიტანელთა ჯარებმა დაიკავეს ბანდუნგის აღმოსავლეთი ნაწილი. ბანდუნგის დასავლეთ ნაწილში ინდონეზიელები თავიანთ პოზიციებს ამაგრებენ, აგებენ ბარიკადებს.

სხვადასხვა ცნობების თანახმად, ინდონეზიელი ხალხის ფართო წრეებში სრული თავისუფლებისათვის ისწრაფვიან. ეროვნული კომიტეტის აღმასკომმა და ჯოკჯაკარტის გლეხთა კავშირმა, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებმა შორის გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: ჩვენ მომავალშიც განვაგრძობთ ბრძოლას, თუ ინდონეზიის დამოუკიდებლობას მთლიანად არ სცნობენ.

ომის დამნაშავეთა გასამართლება ფინეთში

ჰელსინკი, 18 თებერვალი. (ტასი). ომის ფინელ დამნაშავეთა საქმის გამო განაჩენის გამოცხადება გადადებულია 21 თებერვლისათვის. დღეს დილის 9 საათზე შედგა სასამართლოს სხდომა, რომელზეც, როგორც გაზეთი „ჰელსინგინ სანომატ“ იუწყება, სასამართლოს წევრებს ხელი უნდა მოეწერათ განაჩენისათვის. როგორც ცნობილია, განაჩენის გამოქვეყნება დანიშნული იყო დილის 11 საათისათვის. დანიშნული დროისათვის ჟურნალისტებისა და ხალხის ყველა ადგილი დარბაზში დაკავებული იყო. დარბაზში შემოიყვანეს ბრალდებულები, რის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა:

სამართლის წარმოების კოდექსის 23-ე თავის მე-6 პარაგრაფის საფუძველზე, საქმის განხილვა გადატანილია ხუთშაბათს, 21 თებერვალს, 15 საათისათვის. ამ სხდომაზე მოყვანილ უნდა იქნან ყველა ის ბრალდებულნი, რომლებიც სვეაბორგის საპატიმროში სხედან. კვლავინდებურად უნდა გამოცხადდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებული იქნება. უნდა დაესწროს, აგრეთვე იუსტიციის კანცლერი და სახელმწიფო კონსისტორიის წარმომადგენელი.

სასამართლოს სხდომამ სულ ორ წუთს გასტანა.

ბევინის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 14 თებერვალი. (ტასი). ბევინმა თემთა პალატაში უარყო ცნობები თითქოს რანში ინგლისის ახალი ჯარების ჩასვლის შესახებ.

მოქალაქე აზოტ სერგოს-ძე შახნაზაროვმა, მცხოვრებმა წყნეთის ქ. № 7, აღძრა საქმე წავკისის ქ. № 14 მცხოვრებ მოქალაქე მარიამ გრიგოლის-ასულ გუდილოვასთან განქორწინების შესახებ. საქმის განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

ოჯახი იუწყება კალისტრატე მაცის-ძე სორდიას გარდაცვალებას.

მეუღლე დიმიტრი მაისაია შვილებით და შვილიშვილებით იუწყება ნადი მაისაიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/II, 6 ს. მარტის, 7. დაკრძალვა სოფელ ბანძაში.